პროლეტარებო, ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 224 (11835) | კვირა, 25 სექტემბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

მხურვალე მოწონება, ერთსულოვანი მხარდაჭერა

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში, მთასა და ბარში, — ყველგან მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტური შრომის ადამიანები განსაკუთრებული ინტერესით ეცნობიან საბჭოთა მთავრობის მეთაურის **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის** ისტორიულ სიტყვას გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა, მხურვალედ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის ახალ სამშვიდობო წინადადებებს, რომლებშიც გამოხატულია მსოფლიოს უბრალო ადამიანთა იმედები.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე ზეინკალმა შ. ფირცხელავამ განაცხადა: ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვა სავსებით გამოხატავდა ჩვენს აზრებსა და გრძნობებს, საბჭოთა ადამიანების მისწრაფებებს საყოველთაო მშვიდობისა და ბედნიერებისაკენ. ვუსურვებთ ამხანაგ ხრუშჩოვს წარმატებებს თავის კეთილშობილურ მოღვაწეობაში.

გუშინ თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზედაც ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას.

მიტინგების მონაწილეთა სახელით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სახელზე მრავალი დეპეშა გაიგზავნა ნიუ-იორკს.

დეკლარაცია

კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად შეიტანა 1960 წლის 23 სექტემბერს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა

სახელმწიფოებმა, რომლებმაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შექმნეს, მის წესდებას საფუძვლად დაუდეს ერებისა და ხალხების თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის მაღალი ჰუმანური იდეალები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამთავრების პერიოდში იშვა, განსახიერებს ამ იმედებს, რომ ფაშიზმისა და მილიტარიზმის ბარბაროსობასთან და ბოროტმოქმედებებთან ერთად გაქრება უთანასწორობა და ზოგიერთი ერისა და ხალხის დამონება სხვათა მიერ. მაგრამ ხალხების ყველა იმედი როი გამართლდა. დღემდე არ არის გადაჭრილი თანამედროვეობის ისეთი საარსებო პრობლემა, როგორიც არის კაცობრიობის სრული განთავისუფლება საგარცხვინო კოლონიური წესწყობილებისაგან, რომელიც წარსულმა დაგვიტოვა მემკვიდრეობად.

დამონებული ხალხების დიადი აღორძინება

ქვეყნებისა და ხალხების სწრაფი განთავისუფლება ჩვენი დროის ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ჯერ კიდევ ახლანდელი თაობის სიცოცხლეში დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი კოლონიური რეჟიმის პირობებში ცხოვრობდა. პირველი მსოფლიო ომის დასასრულს დაიმსხვრა კოლონიური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები მთელ რიგ ქვეყნებში. ეროვნული დამოუკიდებლობის დროშა, რომელიც მაღლა აფრიალდა მსოფლიოში, ახლა გადაიქცა ასეულ მილიონობით ადამიანის დროშად დედამიწის ყველა კონტინენტზე. დადგა დრო, რომ განთავისუფლდნენ და აღორძინდნენ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ჩაგრული და დაბეჩავებული ერები, ხალხები, ტომები. ათობით ახალი სახელმწიფო შეემატა დამოუკიდებელი ქვეყნების ოჯახს. ერების თანასწორუფლებიანობის და თვითგამორკვევის დემოკრატიული იდეები სინამდვილედ იქცევა.

გაცამტვერდა მითი იმის შესახებ, რომ კოლონიურ ხალხებს თითქოს მართვის, შემოქმედების, შენების უნარი არ შესწევდეთ.

ახლა ვერავინ ვერ იტყვის, რომ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხებს არ შეეძლოთ თავიანთი ქვეყნების მართვა. გიგანტური ძალები აღმოფრენით ჩაებნენ ახალი დამოუკიდებელი ცხოვრების შენებლობაში. ახლა საერთაშორისო საქმეების გადაჭრა შეეძლებელია ისე, თუ ამაში მონაწილეობას არ მიიღებს სახალხო ჩინეთი, თუ მონაწილეობას არ მიიღებენ ინდოეთის, ინდონეზიის, ბირმის, ცეილონის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის, განის, გვინეისა და სხვა დიდი და პატარა სახელმწიფოების განთავისუფლებული ხალხები.

ახლა არავის აღარ შეუძლია თქვას, თითქოს კოლონიალიზმის უღელქვეშ მყოფი ერებისა და ხალხების განთავისუფლებას მოჰყვება ქვეყნებს შორის კონფლიქტებისა და შეჯახებათა ზონების გადიდება. პირიქით, ეროვნულმა განთავისუფლებამ გააფართოვა მშვიდობის ზონა, მაშინ როცა კოლონიური ჩაგვრა და კოლონიური პოლიტიკა ომებს იწვევდა და იწვევს.

ახლა ველარავინ ველარ დაიწყებს იმის მტკიცებას, თითქოს ერებს განთავისუფლება გამოიწვევს მეურნეობის, ვაჭრობის, ხელოსნობის ან მიწათმოქმედების დაცემას. პირიქით, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ კოლონიური ხალხების პოლიტიკური განთავისუფლება და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა უხსნის გზას ეროვნული ეკონომიკის ნამდვილ აღმავლობას.

ახლა ვერავინ ვერ გაბედავს ამტკიცოს, თითქოს ხალხების განთავისუფლებას კოლონიური ჩაგრისაგან მოჰყვება კულტურის დაცემა. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ განთავისუფლებასთან ერთად იწყება თავისთავადი ეროვნული კულტურების აღორძინება. აღმავლობა და აყვავება, სახალხო განათლების გავრცელება, ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება, კვალიფიციური ეროვნული კადრების შექმნა, დიდდება მსოფლიო კულტურის გამდიდრების შესაძლებლობანი.

წინათ ჩაგრული ერების განთავისუფლების შედეგად სარგებლობა აქვთ არა მარტო აღმოსავლეთის ხალხებს, არამედ დასავლეთის ხალხებსაც. ხალხთა განთავისუფლების, მათი თანასწორუფლებიანი ურთიერთობის, მშვიდობის შენარჩუნების საქმეს მსოფლიოში სულ უფრო მტკიცე ბაზა ექმნება.

მაგრამ კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია ჯერ არ დამთავრებულა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები გულგრილად ვერ მოეკიდებიან იმას, რომ აფრიკისა და აზიის უძველეს მიწა-წყალზე, ოკეანის კუნძულებზე, კარიბის ზღვის რაიონისა და სხვა მიწა-წყალზე კვლავ კოლონიური მონობაში იტანჯება ას მილიონზე მეტი კაცი. ამ ქვეყნების ხალხებს აქვთ თავისთავადობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უფლება, და მიუხედავად ამისა ისინი ჯერ კიდევ უუფლებონი, ბორკილგაყრილნი არიან. ამ ქვეყნებში წინანდებურად ბატონობს ძალადობა და უკანონობა, აქ მთავარი კანონია უცხოელთა გამდიდრება, რომელთა ინტერესები ყველაფერია, ხოლო ადამიანისა და ხალხის ხელშეუფალი უფლებანი — არაფერი. უცხოელ ადმინისტრატორთა პირაში, რომლებსაც სძლეთ და ძარცვავენ ადგილობრივ მოსახლეობას, ტომების დევნა, მკვიდრი მცხოვრებლების ეროვნულ ზნეჩვეულებათა აბუჩად აგდება. უთანასწორობა და არასრულფლებიანობა, მათი სასიცოცხლო ინტერესების საგარცხვინო უგულებელყოფა, ეროვნული და ადამიანური ღირსების დამცირება ყოველი პატიოსანი ადამიანის დიდ აოზფოთებას იწვევს.

იქ გაიშმის ზედამხედველის მათრახის ხუხუნი, თავებს კვეთს ჯალათის ნაჯახი.

კოლონიების ხალხებს არა სურთ იცხოვრონ მონურ პირობებში, ისინი იბრძვიან თავიანთი უფლებებისა და დამოუკიდებლობისათვის. ყოველივე ამისათვის, რითაც სარგებლობენ სხვა ხალხები. მაგრამ მათ გზაზე ეღობება ანგარებითი ინტერესები დასავლეთის იმპერიალისტური წრეებისა, რომლებიც ხელს უშლიან ხალხების საგარეთლან მისწრაფებათა განხორციელებას. კოლონიური ომები, დამსჯელი ექსპედიციები, მონომაელების მიერ ხალხთა აშკარა ძარცვა-გლეჯა, სამხედრო და ფარული სასამართლოები, რეზერვაციები, ფარადაკანიანთა ბარიერები, საპყრობილეები და საკონცენტრაციო ბანაკები — აი ზოგიერთი მეთოდი, რომელთა დახმარებით ცდილობენ ლეგალური და არალეგალური კოლონიზატორები ჩაახშონ ყოველივე ცოცხალი, დამოუკიდებელი და ეროვნული კოლონიურ ქვეყნებში.

აფრიკის ხალხთა აკრის კონფერენციამ სამართლიანად დაგმო ყოველივე ეს. როგორც კოლონიური ფაშიზმი.

ისინი, ვინც მხარს უჭერენ კოლონიური მართვის ძველი წესების შენარჩუნებას, ჯერ კიდევ იცავენ დასჯის მძვინვარე ღონისძიებებს კოლონიებში, რასაკვირველია, ასეთი ღონისძიებანი ძძნელებენ განთავისუფლებას. მაგრამ განა ცხოვრება თავისი გზით არ მიდის? განა მძვინვარე დასჯა-აუოოკებამ, რასაც ათეული წლების მანძილზე მიმართავდნენ, შეაჩერა ინდონეზიის განთავისუფლება? განა ათეულ და ასეულ ათასობით ადამიანის დახოცვამ ინდოჩინეთში იხსნა იქ კოლონიური ბატონობა? განა შეუძლია აფრიკის ხალხთა განთავისუფლების შეუკავებელი პროცესის შეჩერება იმ ღონაშაულებებს, რომლებსაც ახლა აფრიკის ხალხების წინააღმდეგ სჩადიან?

ჩაგვრისა და დესპოტიზმის ვერავითარი ძალა ვერ გადაარჩენს დრამოქმედ კოლონიურ წესწყობილებას. და იმათ შესახებ, ვინც განთავისუფლების გზაზე მოკლეს, არ შეიძლება ითქვას. რომ ისინი მკვდარი არიან. არა, ისინი ცოცხალი არიან ხალხთა მეხსიერებაში, ისინი მარად იცოცხლებენ როგორც გმირები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა.

კოლონიალიზმი აგონიას განიცდის. მაგრამ უკანასკნელ ყამსაც მას შეუძლია გამოიწვიოს ბევრი ტანჯვა და მსხვერპლი. ვიეტნამის კიდევ ბევრი სიცოცხლე კოლონიებსა და მეტროპოლიებში, გაანადგუროს მრავალი თაობის შრომით შექმნილი უმარავი სიმდიდრე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიმართავს მსოფლიოს ყველა ადამიანსა და ყველა მთავრობას — ნუ იქნებიან კოლონიათა ხალხების ტანჯვის გულგრილი მეთვალყურენი. განა შეიძლება ყურად არ ვიღოთ კენიის ხალხის გმნვა, სადაც რვა წელია კოლონიური ხელისუფლები სპობენ რეზერვაციებში, საპყრობილეებში. საკონცენტრაციო ბანაკებში შერკილ ადგილობრივ მოსახლეობას, ყურად არ ვიღოთ ომანის ხალხის ტანჯვა, რომლის წინააღმდეგ წარმოებს მტაცებლური ომი? ვის შეუძლია დამშვიდებული იყოს, როცა ხეიდვს, რომ განუწყვეტლივ მხეცურად უსწორდებიან ნიასალენდის, ანგოლის, მოზამბიკის, როდეზიის, რუანდა-ურუნდის, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის, ტანგანიკის, უგანდის, დასავლეთ ირანის მოსახლეობას?

ჩვენს დროშე, პროგრესისა და მეცნიერული გენის უდიდეს აღმოჩენათა საუკუნეში, ბუნების ძალებზე ადამიანის გაბატონების უსაზღვრო გაფართოების საუკუნეში, არ შეიძლება შეეურიგდეთ იმ მდგომარეობას, როცა საფრანგეთი აწარმოებს კოლონიურ ომს ალჟირში, იყენებს ავიაციას, არტილერიას, ტანკებს, ნაპალმს ბომბებსა და მასობრივი მოსპობის სხვა საშეიარაღებს ალჟირელთა წინააღმდეგ, რომლებიც თითქმის ექვსი წელია თავდადებით და მამაცურად იბრძვიან თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ასეულ ათასობით ალჟირელი გაწყეტეს, ალჟირის ბევრი ქალაქი და სოფელი დაწვეს და დაანგრიეს. ალჟირის მოსახლეობის მეხუთედი ნაწილი საკონცენტრაციო ბანაკებში შერკილს. ესსამართლო საქმისათვის ბრძოლაში იღუპება. საფრანგეთის ბევრი შვილი.

განა შეიძლება კვლავაც შეეურიგდეთ ასეთ მდგომარეობას? არა, არ შეიძლება, თუ ჩვენთვის ძვირფასია მშვიდობის დიადი საქმის ინტერესები, ჰუმანურობისა და პროგრესის ინტერესები.

რისთვის აწარმოებენ სიხსნლსმდვრელ ომებს ხალხთა წინააღმდეგ ისინი, ვისაც არა სურს დათმოს კოლონიური წესები? რისთვის ახშობენ დამონებულ ხალხთა თავისუფლებისმოყვარე მისწრაფებებს? ზოგჯერ ამბობენ, თითქოს ამას სჩადიან ნაკლებ განვითარებული ქვეყნების „ცივილიზაციის“ ინტერესებისათვის, რათა მოამზადონ ისინი თვითმმართველობისათვის.

მაგრამ ეს სიცრუეა, რომელსაც ჰეშმარიტების სამოსლით მოსავენ.

რა ცივილიზაცია მოუტანა ტირანული კოლონიური მართვის ხუთმა საუკუნემ აფრიკის ისეთ ქვეყნებს, როგორიც არიან განგოლა, მოზამბიკი და პორტუგალიის გვინეა, რომლებიც ფართობით დასავლეთ ევროპის ნახევარზე მეტს შეადგენენ და ჰყავთ თერთმეტი მილიონი მეხოვრები? ხუთმა საუკუნემ მათ მოუტანა სიღატაკე და უუფლებობა, მათ ძალდატანებით წაართვეს მრავალი თაობის ოფლით მორწყული მიწები, განდევნეს მიწათმოქმედნი მშიერ და გვალვიან რაიონებში.

აქ მძვინვარებს თვითნებობა, შიმშილი, უმეცრება და ავადმყოფობანი, ფაქტიურად შენარჩუნებულია მონობა და იძულებითი შრომა, აქ არ არის არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, თითქმის სრულებით არ არის საშუალო განათლება.

რატომ შეუძლია ჩვენს დროში პორტუგალიას სჩადიოდეს კოლონიებში ასეთ უკანონობას? რა საფუძვლით?

ბელგიის კოლონიური ბატონობის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოსახლეობის რიცხვი კონგოში ერთიოროად და მეტად შემცირდა დამსჯელი ექსპედიციების, შიმშილისა და ავადმყოფობის გამო. კონგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში მხოლოდ ზოგიერთი მცხოვრებს თუ შეეძლო წერა-კითხვა.

არაფრით უკეთესი მდგომარეობა არ არის აფრიკის სხვა კოლონიებშიც.

რასაკვირველია, კოლონიათა ამა თუ იმ რაიონებში გაყვანილია გზები, აშენებულია აეროდრომები, ნავსადგურები, მაღაროები, შახტები, რამდენიმე სკოლა. მაგრამ ყოველივე ეს ემსახურება მკვიდრი მოსახლეობის ექსპლოატაციის მიზნებსა და კოლონიების ბუნებრივ სიმდიდრეთა დატაცებას.

წინასწარგანზრახული სიცრუეა იმის მტკიცებაც, თითქოს კოლონიური წესწყობილება საჭიროა იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ტომებისა და ხალხების შეტაკებანი და შინაომები კოლონიებში, კონგოს ამბები გვიჩვენებენ, რომ კოლონიალიზმი სულდგმულობს ტომებსა და ხალხებს შორის შელნის გამოყენებითაც და წინააღმდეგობათა ხელოვნური გაღვივებით. იგი ცდილობს შეინელოს მათი საერთო განმათავისუფლებელი ბრძოლა. კოლონიზატორთა დევიზი კვლავიდებულად არის „გათიშე და იბატონე!“.

მერე რა აწერია ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ აზიისა და აფრიკის ხალხთა დროშებს? იქ წარწერილია ბანდუნგისა და აკრის მშვიდობისა და ერთიანობის ლოზუნგები.

გულგრილად ეკიდებიან რა სამართლიანობის ხმას, კოლონიზატორები ცდილობენ შეინარჩუნონ თვითნებურად გაყვანილი საზღვრები, რომლებიც თიშავენ ხალხებს, ტომებს, აგრეთვე ერთმანეთთან დაკავშირებულ ეკონომიურ რაიონებს აფრიკაში. აღდგენენ ბევრი ქვეყნის ტერიტორიათა ერთიანობასა და მთლიანობას.

კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების დამოუკიდებლობა დღევანდელობის მოთხოვნაა

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიმართავს ხალხებსა და მთავრობებს განურჩევლად იმისა, თუ სად არის მათი სამშობლო — აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, ჩრდილოეთში თუ სამხრეთში, — დასვან საკითხი, რომელიც დღეს თვით ცხოვრებამ წამოაყენა: განა ძირმომპალი კოლონიური წესწყობილება შეესაბამება ხალხთა იდეალებსა და ჩვენი საუკუნის შესაძლებლობებს?

საკმარისია მხოლოდ შეეადაროთ ევროპის ან ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებელი ქვეყნების განვითარება და აფრიკის კოლონიური ქვეყნების განვითარება განვლილი საუკუნის მანძილზე, რათა ცხადი გახდეს, რომ კოლონიალიზმის გზა რეგრესის გზაა, ძალდატანებით დამონებული ქვეყნების ნელი კვდომის, ნგრევისა და დეგრადაციის გზაა.

მაშინ როცა ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში მრეწველობამ, ტრანსპორტმა, მიწათმოქმედებამ, მეცნიერებამ და კულტურამ მაღალ დონეს მიაღწიეს, განჩინდა საზღვაო გემები, რომლებსაც ატომის ენერგია ამოძრავებს, კოსმოსური სივრცეში გაშვებულია ხელოვნური ციური სხეულები, აფრიკა — ზღაპრული სიმდიდრის ქვეყანა — ჩამორჩა და შიმშილის კონტინენტად გადაიქცა, მის მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც ათასობით წლის წინათ, შრომის მთავარი იარაღებია თოხი, კავი და წვერწამახული მარგილი. აქ ბატონობს მიწათმოქმედების პრიმიტიული სისტემა, რაც იწვევს ნიადაგის გამოფიტვას და ეროზიას.

მაღალგანვითარებული მრეწველობის მქონე დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და კოლონიურ ქვეყნებს შუა გაჩნდა ნამდვილი ფუსკერული, ხოლო ამაზე და აფრიკა ხომ ოდესღაც იმ დიადი ცივილიზაციების აკვანი იყვნენ, რომლებმაც გაამდიდრეს სხვა ხალხთა კულტურა და ცივილიზაცია.

მართლაც, კოლონიური რეჟიმის მთავარი მიზანია მიიღოს უზარმაზარი მოგება უცხოეთის მსხვილი მონოპოლიებისათვის, რომლებმაც ხელი ეგდეს ძირითადი ეკონომიური პოზიციები კოლონიებში, ყოველი სამუალებით ჩაიგდონ ხელში სიმდიდრეები და ფასეულობანი. ამიტომ კოლონიათა მთელი ეკონომიკა ექსპლოატაციის ეკონომიკაა. ექვემდებარება რა უშინაარეს ყოვლისა მრეწველობის მხრივ უფრო მეტად განვითარებული ცალკეული ქვეყნების ბაზრის ვიწრო ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, იგი ნელა, მახინჯი, ცალმხრივი მიმართულებით ვითარდება.

ახლოდან განის განთავისუფლების შემდეგ აღიარებულ იქნა, რომ მარტო მთავარი მარტო კაკაოს წარმოება როდია, არამედ ამავე დროს უნდა შექმნას თანამედროვე მრეწველობა, ამასთან ფართოდ გამოიყენოს ჰიდროენერგიის არსებული უზარმაზარი წყაროები და ბოქსიტების უმდიდრესი საბადოები, და უშინაარეს ყოვლისა ამით განსაზღვრება მისი მნიშვნელობა მსოფლიო მეურნეობის თვალსაზრისით.

კოლონიური წესწყობილების დროს აგრეთვე ვერ იქნა გამოყენებული კონგოს რესპუბლიკის ჰიდროენერგიის უზარმაზარი რესურსები, რომლებიც თავიანთი სიმძლავრით უახლოესებიან ელექტროენერგიის ახლანდელი წარმოების მოცულობას დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ერთად. ამავე დროს მარტო ამ რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს იმას, რომ არა მარტო მთლიანად გიიშალოს კოლოსალურ მინერალურ სიმდიდრეთა დამუშავება და ამაღლდეს მიწათმოქმედების დონე კონგოს რესპუბლიკაში, არამედ მნიშვნელოვნადაც გარდაქმნას ცენტრალური აფრიკის ქვეყნების მთელი სამეურნეო სახე, დიდად გაუმჯობესდეს მათი მოსახლეობის კეთილდღეობა.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ აფრიკის კონტინენტის, ისევე როგორც სხვა კონტინენტების, ყველა ქვეყანას აქვს უდიდესი და მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ გამოუკვლეველი მრავალფეროვანი სიმდიდრენი. ეს სიმდიდრე შეიძლება ჩაეკენებულ იქნას ამ ქვეყნების ხალხთა სამსახურში, ამით კი მთელი კაცობრიობის სამსახურში. მაგრამ კოლონიური რეჟიმი განზრახ, ხელოვნურად ინარჩუნებს კოლონიების სამეურნეო ჩამორჩენილობას, აბრკოლებს მათს ინდუსტრიალიზაციასა და არსებული რესურსების გონივრულ გამოყენებას. ამასთან დაკავშირებულია საზოგადოებრივ ფასეულობათა გაუგონარი მფლანგველობა, შრომის უზარმაზარი დანაკარგები, კოლონიური ქვეყნების მეურნეობის მართვის პარაზიტული, მონოკულტურული წესის ბატონობა, მეურნეობისა, რომელიც მომარჯვებულია მეტროპოლიათა ანგარებითი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სამრეწველო-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონე, მეცნიერების, მიწათმოქმედებისა და კულტურის უახლესი მიღწევები უზრუნველყოფენ იმას, რომ შედარებით მოკლე ვადაში ჩაეკენებულ იქნას ხალხთა სამსახურში მთელი ეს უზარმაზარი სიმდიდრეები. მაგრამ, იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას ეს სიმდიდრეები, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ხალხს მიენიჭოთ დამოუკიდებელი არსებობის უფლება, მოისპოს კოლონიური რეჟიმი, ეკონომიური დახმარება გაეწიოთ ამ სიმდიდრეთა ათვისებაში. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ გაუმჯობესდეს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა, გაფართოვდეს შინაგანი ბაზრის ტევადობა, ბოლო მოეღოს ახლანდელ ეწიგნეურობას, ეროვნული კადრების ნაკლებობას, მონოკულტურის ბატონობას კოლონიათა ეკონომიკაში. კოლონიური ფორმები შეუთავსებელია ამგვარი ამოცანების გადაჭრასთან, ისევე როგორც ტექნიკის ისეთ დიდ მიღწევებთან, რომლებიც თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია.

კოლონიათა ექსპლოატაციით სარგებლობას იღებენ არა ხალხები, არამედ უმთავრესად უცხოელთა მსხვილი მონოპოლიები — მილიარდერები. როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხები იძულებული არიან დიდი ხარკი გადაუხადონ კოლონიალიზმს. ნავთობი და ყავა, კაუჩუკი და ბამბა, სპილენძი და ბანანები, სხვადასხვა ნედლეული და სურსათი, რაც კოლონიებიდან გამოაქვთ, ათჯერ უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე მათ ადგილზე იძენენ. მონოპოლიები ორგზის ძარცვავენ ადამიანებს — აღმოსავლეთში, როცა ისინი ყიდულობენ, და დასავლეთში, როცა ისინი ყიდიან კოლონიურ საქონელსა და ნედლეულს.

უფრო მეტიც, ისინი აიძულებენ კოლონიათა ხალხებს მშვიდობიან დროს შეინახონ უცხოელთა ჯარები და ადმინისტრაცია, ესეიგი იხადონ იმ ბორკილის ღირებულება, რომლითაც ისინი შებოჭილი არიან. ამავე დროს მონოპოლიები მეტროპოლიათა გადასახადის გადამხდელებს ბეგრავენ გადიდებული გადასახადებით სადამსჯელო ექსპედიციებისა და კოლონიური ომების მოსაწყობად, აიძულებენ მეტროპოლიათა ხალხებს აგრეთვე იხადონ იმ ბორკილის ღირებულება, რომლითაც მონოპოლისტ-კოლონიზატორებს შებოჭილი ჰყავთ სხვა ხალხები. სინამდვილეში ისინი გაჩანაგებულ მინდვრებში ერთად ასამარებენ საკუთარი ხალხის თავისუფლებასა და სხვა ერების დამოუკიდებლობას. ასეთი მდგომარეობა თავისთავად მძიმე საბრალმდებლო განაჩენია კოლონიური წყობილების წინააღმდეგ.

ამავე დროს, თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა ის სახელმწიფოები, რომლებმაც ერთ დროს კოლონიური უღელი დაადეს ბევრ ხალხს, გამოიჩენენ ამ ხალხთა გადაუდებელი საჭიროებების თუნდაც მინიმალურ გაგებას, ისინი გამონახავდნენ ამ საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ერთ-ერთი მთავარი წყაროა განიარაღების პრობლემის გადაჭრა და სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯების შეკვეცა.

ცნობილია, რომ მხოლოდ ის სახელმწიფოები, რომლებიც ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო-კოლონიურ ბლოკში შედიან, გამოელებული შეიარაღებისათვის ხარჯავენ 62 მილიარდ დოლარს წელიწადში. მაგალითად, აფრიკის ქვეყნების განვითარებასა და აღმავლობას რომ მოხმარდეს იმ თანხის თუნდაც ნახევარი, რომელიც ყოველწლიურად იხარჯება არასაწარმოო და მშვიდობისათვის საშიში მიზნებისათვის, შეიძლებოდა განხორციელებულიყო გრანდიოზული საინჟინრო-ტექნიკური პროექტები, მათ შორის ინგის, კონკურეს, ზაზიბარისა და ვოლტის გეგმები — ეს არის უდიდესი ჰიდროსადგურებისა და სარწყავი სისტემების, სამრეწველო საწარმოთა მშენებლობის, მიწათმოქმედების გარდაქმნის გეგმები. აფრიკის განთავისუფლებული ხალხები შეძლებდნენ ყველგან გაეხსნათ სკოლები, უნივერსიტეტები, საავადმყოფოები, გაეყვანათ გზები და განეხორციელებინათ სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ აგრეთვე მიწათმოქმედების აყვანას უფრო მაღალ თანამედროვე დონეზე.

ამასთანავე თუ აფრიკისა და სხვა კოლონიები მოიხსნიან კოლონიალიზმის ბორკილს, ეს გააადვილებდა მათი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას, გაადიდებდა იქ მოთხოვნილებას ევროპისა და ამერიკის მანქანებსა და სხვა სამრეწველო პროდუქციაზე, გაადიდებდა ნედლეულისა და მასალების გატანას ევროპისა და ამერიკის მრეწველობისათვის, გაზრდიდა მოსახლეობის დასაქმებასა და საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებას, უზრუნველყოფდა მრეწველობის მხრივ განვითარებული ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის ზრდას.

ყოველი პატიოსანი ადამიანი და ყოველი მთავრობა, რომლებიც ნამდვილად იცავენ ხალხთა თანასწორუფლებიანობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესებით გამოცხადებული, დიადი მიზნებისა და პრინციპების განხორციელებას, არ შეიძლება არ ხელადგნენ. რომ კოლონიალიზმის დრომოჭმული და სამარცხვინო მოვლენაა თანამედროვე კაცობრიობის ცხოვრებაში. კოლონიალიზმის სრული და სამუდამო ლიკვიდაცია იქნება პროლეტარ არა მარტო საზოგადოებრივი პრაგრესისა, არამედ სწრაფი ტექნიკური აღმავლობისა მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში, ისევე როგორც მონათვაჭრობის მოსპობამ მძლავრი ბიძგი მისცა საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარებას.

კოლონიალიზმის მოსპობა იქნებოდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ომისშემდგომო დროის ისეთი შეიარაღებული კონფლიქტები და ომები, როგორიც იყო ომები ინდონეზიაში, ინდოჩინეთში, ალჟირში, აღმოსავლეთ აფრიკაში, ეგიპტის წინააღმდეგ, უცხოელთა ინტერვენცია ლიბანსა და ირანთანაა. შემქმედნანი სირიის, ერაყის წინააღმდეგ და სხვა, წარმოშობენ სწორედ იმის გამო, რომ ცდილობდნენ ხელი შეიშალათ აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ახალგაზრდა სახელმწიფოების განთავისუფლებისა და ეროვნული განვითარებისათვის. ამაზე თანაბარ მთელი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ომებისა და შეიარაღებული კონფლიქტების უმრავლესობა ასე თუ ისე დაკავშირებული იყო კოლონიალიზმთან, დიდი სახელმწიფოების ბრძოლასთან კოლონიათა განაწილებისა და გადანაწილებისათვის.

ხალხებს არაერთგზის უგრძნიათ კოლონიური ომების ახალ მსოფლიო ომად გადაზრდის მრისხანე საშიშროება. ახლაც ინტერვენციამ კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გაამწვავა საერთაშორისო ვითარება, საფრთხე შეუქმნა მშვიდობის საქმეს აფრიკაში — და არა მარტო აფრიკაში. განა შეიძლება დავივიწყოთ, რომ ახლანდელ პირობებში, როცა არსებობს ატომური და რაკეტული იარაღი, ერთ კონტინენტზე ფანთებული ომის ცეცხლი შეიძლება სწრაფად მოედოს მთელ დედამიწას.

ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის ბევრი უმნიშვნელოვანესი კვანძი — ახლო და შორეული აღმოსავლეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში — აგრეთვე მნიშვნელოვანწილად კოლონიური პოლიტიკის წარმონაშობია. კოლონიებსა და სხვა ეგრეთწოდებულ „არათვითმმართველ ტერიტორიებს“ ხშირად იყენებენ უცხოეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბაზებად, ატომური იარაღის გამოსაცდელ პოლიგონებად. როცა ასეთი მდგომარეობაა, განა შეიძლება დამშვიდებული იყოს ადამიანი, განთავისუფლდეს შიშისაგან მოსალოდნელი ომის გამო, თავი დაიღწიოს სიღატაკეს, შიმშილსა და ავადმყოფობას, რაც ჯერ კიდევ ტანჯავს კოლონიებისა და სამეურვეო ტერიტორიების მდგომარეობაში დარჩენილი ქვეყნების ხალხებს?

დიდ კოლონიებთან და სამეურვეო ტერიტორიებთან ერთად ზოგიერთმა სახელმწიფომ შეინარჩუნა ავტონომიურ დასაყრდენი პუნქტები მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. მაგალითად, დასავლეთი ირანი, ოკინავა, გოა, პორტო-რიკო და სხვები. თუ აღარაფერს ვიტყვით ტაივანზე, რომლის მიმართ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოიხსენეს აგრესია, დაიკავეს რა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეს ტერიტორია, რაი ესაჭიროებათ მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს ასეთი დასაყრდენი ბაზები და „სამხედროტერიტორიები“ სხვათა ტერიტორიებზე? განა ეს ყოფილი კოლონიური ბატონობის ეპოქის პირდაპირი გადმონაშთი არ არის? რას იტყოდნენ ეროვნულები და ამერიკელები, ინდოელი და აფრიკის ამა თუ იმ ქვეყანას, რომ მოეთხოვა თავისთვის დასაყრდენი პუნქტები დასავლეთ ევროპის ან ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში?

არ შეიძლება იყოს ორი აზრი — ამ დასაყრდენ ბაზებს ინარჩუნებენ, რომ საფრთხე შეუქმნან ხალხების ეროვნულ დამოუკიდებლობასა და უშიშროებას ახლომდებარე რაიონებში. ისევე, როგორც სადაკჭრო ფაქტორები, გამხდნენ კოლონიალიზმის გარეგრეგზე ჩაგვრის კოლონიური რეჟიმის ბაზა აფრიკაში, აზიასა და ამერიკაში, ისე ახლა, კოლონიალიზმის დაშლის ხანაში, იმპერიალისტები ცდილობენ გამოიყენონ დარჩენილი დასაყრდენი ბაზები და კოლონიები იმისათვის, რომ უხეში ზეგავლენა მოახდინონ აზიის, აფ

დეკლარაცია

კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად შეიტანა 1960 წლის 23 სექტემბერს სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა

(დასასრული)

ისევე როგორც მსოფლიოს მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც ხალხები აწარმოებენ სამართლიან ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის, მოითხოვენ მკვიდრ ადგილობრივ მოსახლეობასა და სხვა კონტინენტებიდან გადმოსახლებულთა შორის ურთიერთობის პრობლემის გონიერულად გადაჭრას. რასობრივი დისკრიმინაცია, ყველა მისი საზიზღარი გამოვლინება, ხალხებისა და ერების დაყოფა პრივილეგიურ და „დაბალ“ ხალხებად და ერებად — ეს არის რასიზმი, ეს არის დანაშაულებრივი გენოციდის გამართლება, ეს არის ძველ ბოროტმოქმედებათა დამატებით უამრავი ახალი ბოროტმოქმედება, წინანდელ დანაშაულობათა დამატებით უამრავი ახალი დანაშაული, ეს არის ურთიერთსიძულვილის, ქვეყნებსა და ხალხებს შორის განუწყვეტელი სისხლიანი კონფლიქტების გაღვივების გზა.

ხალხებს სხვადასხვა ფერის კანი აქვთ, მაგრამ სისხლი ერთი ფერისა აქვთ, და არც ერთ ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია იბატონოს სხვა ხალხებზე.

ხალხების კავშირურთიერთობა, რაც კოლონიალიზმის დროს შეიქმნა, უნდა შეიცვალოს ახალი ურთიერთობით, რომელსაც საფუძვლად დაედება თანასწორუფლებიანობის, მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპები, მიუხედავად სახელმწიფოთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა, ადამიანთა მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური შეხედულებების ან მათი კანის ფერისა. კოლონიების ხალხებმა უნდა მიიღონ ნამდვილი დამოუკიდებლობა, და არა ფიქციური, როდესაც მათ სინამდვილეში სახელმეცვლილი კოლონიური რეჟიმის ფარგლებში დატოვებდნენ. ისინი მოითხოვენ უკვე არა მარტო მეტ თავისუფლებას კოლონიური წყობილების წიაღში, არამედ ამ წყობილების გადაჭრით მოსპობას, წინსვლის თავისუფლებას, იმ უფლებას, რომ თვითონ განაგონ თავიანთი ცხოვრება, გამოიყენონ თავიანთი სიმდიდრე, თავიანთი შრომის ნაყოფი. დაკაბალების ყოველი ფორმა, „მეურვეობის“ ან „ქველმოქმედებიო“ ყოველი გამოვლინება ხალხების მიმართ, დიდად შეურაცხყოფს მათს ღირსებას.

ცხოვრება აყენებს ახლა უძრაობასა და პროგრესს შორის, მონობასა და თავისუფლებას შორის, ხალხების დაყოფასა და მათ ერთიანობას შორის, ომსა და მშვიდობას შორის არჩევანის პრობლემას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავის მოვალეობად მიაჩნია მტკიცედ მოეწოდოს სახელმწიფოებს, რომლებსაც კოლონიური სამფლობელოები აქვთ, დაიწყონ თანასწორუფლებიანი მოლაპარაკება კოლონიების ხალხთა წარმომადგენლებთან დწ მიიღონ შეთანხმებას კოლონიური ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამყარების შესახებ.

უნდა განისაზღვროს მოლაპარაკების ზუსტი და ახლო ვადები, გამორიცხულია კოლონიური სახელმწიფოების ზეგავლენისა და აგრესიის შესაძლებლობა. ხოლო თუ ეს სახელმწიფოები ყურად არ იღებენ ასეთ მოწოდებას, გააჩაღურებენ კოლონიების განთავისუფლებას, ჩაახშობენ კოლონიათა ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას, მშვიდობისმოყვარე ხალხებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გაუწიონ მორალური და მატერიალური დახმარება თავიანთი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ყოველ ქვეყანასა და ყოველ ხალხს აქვს დამოუკიდებელი არსებობის ხელშეუხებელი და სრული უფლება. ისინი დარწმუნებული არიან, რომ კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაცია არ მოასწავებს აფრიკის ან ევროპის ქვეყნების დაშორებას ერთმანეთისაგან. პირიქით, იგი გამოიწვევს კიდევ მეტ თანამშრომლობას მათ შორის, მაგრამ ხალხების ასეთი გაერთიანება და თანამშრომლობა შეიძლება იყოს მხოლოდ თავისუფალი და ურთიერთ სასარგებლო.

რაც უფრო თანმიმდევრულად და სწორად განხორციელდება საერთაშორისო თანამშრომლობის დიადი პრინციპები — თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთსარგებლობის, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური თანამშრომლობის პრინციპები, მით უფრო მტკიცე იქნება მსოფლიოს თავისუფალ და თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა ურთიერთგაგება და თანხმობა.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნები, გამოიყენებენ რა თანამედროვე მეცნიერებისა და კულტურის დიად მიღწევებს, მხოლოდ ასეთი გზით წავლენ წინ პროგრესისაკენ, ერთა ნამდვილი მშვიდობიანი თანამეგობრობისაკენ. მხოლოდ ასე განხორციელდება სინამდვილეში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დიადი დებულებანი ერებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლების შესახებ.

მგზნებარედ სურთ რა მალე დაამყარონ ურთიერთ კეთილმოსურნეობა და თანხმობა სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის, ავრეთვე ამჟამად არათვითმმართველ ტერიტორიათა მკვიდრ მოსახლეობასა და იმათ შორის, ვინც დასახლდა ამ ტერიტორიებზე და ვისაც სურს იცხოვროს იქ ამ ქვეყნების ყველა მოქალაქესთან თანასწორ საფუძველზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას და მიმართავენ ყველა ადამიანს მიუხედავად მათი ენისა და კანის ფერისა, რელიგიისა და პოლიტიკური რწმენისა:

დაე ჩვენი სიტყვა გაიგონოს მსოფლიოს ყველა ადამიანმა

ჩვენ ყველანი ერთი პლანეტის მცხოვრებნი ვართ. ამ პლანეტაზე ვიბადებით, ვმრომობთ, ვხრდით შვილებს, გადავცემთ მათ იმას, რასაც ცხოვრებაში მივაღწიეთ. და თუმცა დედამიწაზე სხვადასხვა სახელმწიფოები არსებობენ, ყველა ადამიანი იბადება თავისი ღირსებით თანასწორ მოკალაქედ.

ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა ახლა აყენებს საკითხს, რომ სავსებით და საბოლოოდ მოეპოს კოლონიური რეჟიმი ყველა მისი ფორმითა და გამოვლინებით. და მოისპოს არა ოდესმე შემდეგ, არამედ დაუყოვნებლივ და უთუოდ!

ამის შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები საქვეყნოდ აცხადებენ შემდეგ მოთხოვნებს:

1. დაუყოვნებლივ მიენიჭოს ყველა კოლონიურ ქვეყანას, სამეურვეო და სხვა არათვითმმართველ ტერიტორიებს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება საკუთარი ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობაში მათ ხალხთა თავისუფლად გამოხატული ნებისა და სურვილის თანახმად. კოლონიური რეჟიმი, ყველა სახეობის კოლონიური ადმინისტრაცია სავსებით უნდა გაუქმდეს, ისე რომ შესაძლებლობა მიეცეთ ასეთ ტერიტორიათა ხალხებს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი ბედიღბლი და სახელმწიფოებრივი მართვის ფორმები.

2. მოისპოს კოლონიალიზმის ყველა დასაყრდენი პუნქტი სამფლობელოთა და საიჯარო რაიონების სახით სხვის ტერიტორიებზე.

3. ყველა ქვეყნის მთავრობები მოწოდებული არიან ზუსტად და განუხრელად დაიცვან სახელმწიფოთა ურთიერთობაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ამ დეკლარაციის დებულებანი უკლებლივ ყველა სახელმწიფოს თანასწორობის და სუვერენულ უფლებათა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის შესახებ, არ დაუშვან კოლონიალიზმის რაიმე გამოვლინება, რაიმე განსაკუთრებული უფლება ან უპირატესობანი ერთი სახელმწიფოსათვის მეორე სახელმწიფოს საზიანოდ.

* * *

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა, ამ ორგანიზაციის წესდების კეთილშობილური პრინციპების შესაბამისად, კოლონიური წესწყობილების ლიკვიდაცია უნდა მიიჩნიონ როგორც უმნიშვნელოვანესი ეტაპი საერთაშორისო ცხოვრებაში. ეს აქცია უკვე თავისთავად იქნება ერთ-ერთი დიდნიშვნელოვანი საფუძველი იმისათვის, რომ განვითარდეს მეგობრული ურთიერთობა ყველა სახელმწიფოსა და ყველა ხალხს შორის, და ამით განხორციელდეს დიადი ამოცანა — უზრუნველყოფილ იქნას მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა დედამიწაზე.

ყოველი სახელმწიფოსა და ყოველი მთავრობის წმიდათა წმიდა მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ დეკლარაციის მალე და სრულად განხორციელებას.

განცხადება სსრ კავშირის მთავრობისა

განიარაღების საკითხზე

წარდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა საკითხი განიარაღებისა და იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა ამ საკითხზე გენერალური ასამბლეის წინა სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებით.

განიარაღების პრობლემა თანამედროვეობის ცენტრალური პრობლემაა. მის გადაწყვეტაზე ბევრად თუ არა ძირითადად, დამოკიდებულია მშვიდობის შენარჩუნება. ახლა ამას ყველა სახელმწიფო აღიარებს. ამასთანავე საბჭოთა მთავრობა დიდად შეშფოთებულია იმით, რომ დღემდე არ ხერხდება რაიმე ძვრის მიღწევა ამ პრობლემის გადაჭრაში.

სახელმწიფოებს უკვე ამჟამად დაგროვებული აქვთ და კვლავაც აგროვებენ კოლოსალური რაოდენობით ატომურ იარაღს და დედამიწის ყოველ პუნქტში მიზანთან მისი მიტანის საშუალების. ეს თავისთავად სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას, რამდენადაც იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, არიან ისეთნიც, რომლებიც თავიანთ სახელმწიფო პოლიტიკად აცხადებენ ომის ზღვარზე ბალანსირებას და სხვა სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უხეშ დარღვევას, ამასთან არ ერიდებიან ისეთ მეთოდებს, რომელთა გამოყენება ჩვეულებრივად მხოლოდ ომის დროს ხდება.

ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფოებს ატომური იარაღის უდიდესი მარაგი მოეპოვებათ, გამალებული შეიარაღების გზაზე გადადგმული ყოველი შემდგომი ნაბიჯი ადიდებს ომის ეგრეთწოდებული შემთხვევითი წარმოშობის საფრთხეს. რადარული სისტემის არაზუსტ მუშაობას შეუძლია გამოიწვიოს რადარის ჩვენებათა არასწორი გაგება, ხოლო ამას შეიძლება მოჰყვეს სამხარი მოქმედების დაწყება, და მაშასადამე, უმაგალითო მასშტაბის კატასტროფა. თუ მფრინავებმა, რომელნიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადების მიხედვით, სამორიგეო ფრენას აწყობენ ბომბდამშენებით, რომლებზეც ატომური იარაღი აქვთ, არასწორად გაიგეს ბრძანება, ამას შეიძლება მოჰყვეს, რომ ეს ბომბები ჩამოიყაროს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რაც გამოიწვევს ყველა აქედან გამომდინარე შედეგს. საბრძოლო რაკეტულ-ატომური სისტემების ელექტრონული მექანიზმების უწესივრობასაც შეუძლია დასაბამი მისცეს სამხედრო კონფლიქტის ჯაჭვურ რეაქციას.

თუ გამალებული ატომური შეიარაღება გაგრძელდა, ასეთი „შემთხვევითობის“ თავიდან აცილება სულ უფრო გაძნელდება.

გამალებული შეიარაღება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც აძლიერებს უნდობლობასა და ეჭვებს სახელმწიფოთა ურთიერთობაში და წამლავს საერთაშორისო ატმოსფეროს. ხალხებისათვის საძულველი „ცივი ომი“ გამალებულმა შეიარაღებამ წარმოშვა, იგი ხელს უშლის მის ლიკვიდაციას, სულ უფრო საშიშს ხდის გამალებულ შეიარაღებას სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტა მშვიდობის განმტკიცების გზაა. განიარაღების პრობლემის გადაწყვეტასაც უდიდესი ეკონომიური ეფექტი მოჰყვებოდა. განიარაღების შედეგად განთავისუფლდებოდა უდიდესი მატერიალური და ფინანსური ფასეულობანი, რომელნიც გამოყენებული იქნებოდა კაცობრობის საკეთილდღეოდ.

მარტო ერთი წლის მანძილზე, რაც გავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიის შემდეგ, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა საყოველთაო და სრული განიარაღების იდეა, სამხედრო მზადების გიგანტური საცეცხლეში კვლავ დაიწვა 100 მილიარდ დოლარზე მეტი. უბრალო გამოანგარიშება ცხადყოფს, რომ ამ სახსრებით შეიძლებოდა განხორციელებულიყო აფრიკის მთელი კონტინენტის ძირეული ტექნიკურ-ეკონომიური რეკონსტრუქცია; ეს ფული წლის განმავლობაში გამოკვებავდა ასეულ მილიონობით დამშეულს; სახელმწიფოების სამხედრო ხარჯების საერთო თანხის მხოლოდ ერთი პროცენტით შეიძლებოდა იუნესკოსთან და სავსებით გაეყოთ ყოველივე იმით, რაც საჭიროა, ასზე მეტი უნივერსიტეტი იმ ქვეყნებში, რომელებსაც მწვავედ ესაჭიროებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები; იმ სახსრებით, რომელებსაც ამერიკის ატომურძრავიანი ერთი წყალქვეშა ნავის მშენებლობა ნთქამს, აშენდებოდა ხელ ცოტა 50 ასპირანი საცხოვრებელი სახლი ან 10 ათასი კოტეჯი. აი რას ართმევს კაცობრობას გამალებული შეიარაღება.

გაითვალისწინა რა, რომ მრავალი წლის მოლაპარაკება განიარაღების ცალკეულ ღონისძიებათა შესახებ დასავლეთის სახელმწიფოებს ყოველთვის ჩიხში შეჰყავდათ, საბჭოთა კავშირმა ერთი წლის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიაზე წარადგინა სრულიად ახალი მიდგომა ამ პრობლემის გადაჭრისადმი და წამოაყენა **მტკიცე, ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების** იდეა.

საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის დასმა თვით ცხოვრების ნაკარნახეკია, რადგან ატომური იარაღისა და მძლავრი რაკეტების სუფეკუნში განიარაღების ნაწილობრივი, სანანავერო ღონისძიებანი მთლიანად ვერ აღმოფხვრიან ომის საფრთხეს.

მხოლოდ საყოველთაო და სრული განიარაღებას შეუძლია უზრუნველყოს ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა. მხოლოდ საყოველთაო და სრულ განიარაღებას შეუძლია უზრუნველყოს კაცობრობის მტკიცე მშვიდობა და მყუდროება.

წამოაყენა რა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი, საბჭოთა კავშირი, რომელიც, როგორც საყოველთაოდ აღიარებენ, ახლა სამხედრო ძლიერებით მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი სახელმწიფოა, თავისი საკუთარი ინიციატივით საფუძვლად იღებდა ხელს ამ სამხედრო ძლიერებაზე. თანახმა იყო სავსებით მოეპოო იგი, თუ ასევე მოიქცეოდნენ სხვა დიდი სახელმწიფოები. თუ შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, და დასავლეთის სხვა ქვეყნები, მზად არიან ამისათვის, ისევ დარჩენილა, რომ შევთანხმდეთ იმაზე, თუ როგორ განვახორციელოთ უკეთ ეს პრაქტიკულად. ხოლო თუ მზად არ არიან, ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება დაეუჭეროთ მთას განცხადებებს, რომ მშვიდობა სურთ და რომ იარაღი ესაჭიროებათ მხოლოდ შესაძლო აგრესიისგან თავის დასაცავად.

სწორედ ეს იყო დედაზარი იმისა, რომ საბჭოთა კავშირმა დასვა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი.

განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი ახალი მიდგომა გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური წყობილების თვით ბუნებიდან. საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა თქვა, განიარაღება სოციალიზმის იდეალია. მართლაც, სოციალისტურ სახელმწიფოებს იარაღი არ ესაჭიროებათ არავითარი მიზნისათვის, გარდა იმისა, რომ თავი დაიცვან გარედან შესაძლო თავდასხმისაგან და უზრუნველყონ მშვიდობის შენარჩუნება მთელ მსოფლიოში. საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს არა აქვთ და არც შეძლებენ ჰქონდეთ სხვა ამოცანები, რადგან სოციალიზმის საგარეო პოლიტიკა მშვიდობისმოყვარული და ჰუმანური საგარეო პოლიტიკაა. და დასავლეთის სახელმწიფოები რომ დათანხმდნენ უარი თქვან შეიარაღებულ ძალებსა და შეიარაღებაზე, ომის წარმოების საშუალებათა ლიკვიდაციაზე, სოციალისტურ სახელმწიფოებს სულ აღარ დასჭირდებოდათ შეიარაღებული ძალები და შეიარაღება, აღარ დარჩებოდა რაიმე მიზეზი იმისათვის, რომ შეინახონ რაკეტული ჯარები, არმია, ფლოტი, ავიაცია, საჰაერო თავდაცვა. საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის არაფერი ეს საჭირო არ არის. ჩვენ გვაქვს მდიდარი წიაღისეული, ჩვენს ადამიანებს შრომა უყვართ, მეცნიერება და ტექნიკა კარგად ემსახურება ჩვენს საქმეს.

კომუნიზმის გამარჯვებისთვის ომი არ არის საჭირო. რადგან კომუნისტური იდეებისათვის ბრძოლა სახელმწიფოებს შორის კი არ წარმოებს, არამედ ბრძოლა წარმოებს თვითეული სახელმწიფოს შიგნით კლასებს შორის. ცილს სწამებენ სოციალიზმის ქვეყნებს, როცა ბრალად სდებენ, რომ მათ სურთ ომის გზით მოახვიონ თავს თავიანთი იდეები სხვა ხალხებს, სხვა სახელმწიფოებს.

საბჭოთა მთავრობა XIV სესიაზე იმას რიდი დასჯერდა, რომ მხოლოდ დაესვა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი, მან მაშინვე შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განსახილველად ასეთი განიარაღების კონკრეტული პროგრამა. ისწრაფოდა რა ყოველი ღონისძიებით გაეადვილებინა განიარაღების პრობლემის გადაჭრა და შეექმნა ამ საკითხზე მოლაპარაკებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ვითარება, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების 1 მილიონ 200 ათასი კაცით, ესე იგი ერთი მესამედით შემცირების შესახებ; ეს გადაწყვეტილება ამჟამად ზუსტად სრულდება.

ახლა, როცა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა დააყენა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი, წელიწადი გავიდა, სავსებით გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას მხარს უჭერს ყველა ხალხი, რომლებსაც სურთ მაღე განხორციელდეს ეს იდეა. და ეს გასაგებია, რადგან ყველა ქვეყანის, არა მარტო კოლონიალისტური, არამედ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებსაც სურთ მშვიდობა, უიარაღო მსოფლიო, ისეთი მსოფლიო, რომ ომი არ იყოს სახელმწიფოებს შორის. ომი არ უნდათ არც საბჭოთა, არც ამერიკელ, არც ინგლისელ, არც ფრანგ, არც ჩინელ ხალხებს, არც აფრიკის ხალხებს, არც აზიის ხალხებს, არც ლათინური ამერიკის ხალხებს, არც ავსტრალიის ხალხებს.

ხალხების მისწრაფება მშვიდობისადმი გამოიხატა გენერალური ასამბლეის წინა სესიის რეზოლუციით საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც, როგორც ყველას ახსოვს, მიღებული ერთსულოვნად, არც ერთი სახელმწიფო არ წასულა ამ რეზოლუციის წინააღმდეგ, ყველამ მხარი დაუჭირა მას. იმ სახელმწიფოებმაც კი, რომლებიც აძლიერებდნენ და ახლაც აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას და, როგორც გამოცდილებამ ცხადყო, სულაც არ ამირებდნენ ხელი აიღოთ ომის ზღვარის პოლიტიკის განგრძობაზე, ვერ გაბედეს იმ დროს აშკარად გამოსულიყვნენ საყოველთაო და სრული განიარაღების წინააღმდეგ.

თავის რეზოლუციაში გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ამჟამად დგას მსოფლიოს წინაშე, მოეწოდა მთავრობებს ყოველი ღონე ეხმარათ ამ პრობლემის კონსტრუქციული გადაჭრის მისაღწევად, აგრეთვე იმედი გამოთქვა, რომ ღონისძიებებს, ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების მიზნის მისაღწევად დეტალურად შეიმუშავებენ და შეათანხმებენ რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში. ამით განისაზღვრა განიარაღების შესახებ მოლაპარაკების საერთო მიმართულება. გადაწყდა, რომ მოლაპარაკება ეწარმოებინათ ათი სახელმწიფოს კომიტეტის ფარგლებში.

მთელი მსოფლიოს ხალხები თავიანთ საუკეთესო იმედებს ამყარებდნენ ამ მოლაპარაკებაზე. მათ სურდათ დაეკერებინათ, რომ ახლა ყველა სახელმწიფო, უწინარეს ყოველისა დიდი სახელმწიფოები, რომელებსაც ყველაზე მძლავრი შეიარაღება მოეპოვებათ, ახლებურად მიუდგებიან განიარაღებას და ბოლოს შეთანხმდებიან მისი პრაქტიკული გადაჭრის შესახებ.

მას შემდეგ წელიწადი გავიდა, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ განიარაღების საქმისათვის ეს წელიწადი დაიკარგა. ეს არის შემაშფოთებელი შედეგი, რომელსაც შეუძლებელია გვერდი ავუარით.

რა მოხდა? გენერალური ასამბლეის მიერ ხსენებული გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში რატომ გახდა შეუძლებელი, რომ თუნდაც ერთი ნაბიჯით წავწეულიყავით წინ მისი შესრულების საქმეში? რატომ არ მოჰყვა განიარაღების საკითხზე ათი სახელმწიფოს კომიტეტში მოლაპარაკების რაიმე დადებითი შედეგი?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ ფაქტებს. ფაქტები კი ცხადყოფენ, რომ ათი სახელმწიფოს კომიტეტში მოლაპარაკების მსვლელობაში, ისევე როგორც წარსულში, მკაფიოდ და გარკვევით გამოვლინდა ერთმანეთის საწინააღმდეგო ორი ხაზი, ორი პოზიცია.

ერთი მათგანი შეესაბამებოდა ხალხების მოთხოვნებს განიარაღების პრობლემის მაღე გადაჭრის შესახებ. მეორე პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ამ მოთხოვნებს და სუსტად შენიღბული ცდა იყო იმისა, რომ არ დაეშვათ განიარაღება.

ათი სახელმწიფოს კომიტეტში საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის ხაზს ახორციელებდნენ საბჭოთა კავშირი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, ესე იგი სოციალისტური სახელმწიფოები; განიარაღების პრობლემის გადაჭრის საწინააღმდეგო ხაზს — შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, ესე იგი დასავლეთის სახელმწიფოები — ნატოს სამხედრო ბლოკის წევრები.

ჩვენი პოზიცია მოლაპარაკების მსვლელობაში უაღრესად ნათელი იყო — სოციალისტური სახელმწიფოები მოითხოვდნენ მაღე შესდგომოდნენ საქმეს, ხელი მოეკიდათ სპეციალური პრაქტიკული გადაჭრისათვის, საქმიანად განეხილათ საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა და შეემუშავებინათ შესაბამისი ხელშეკრულება.

ამასთან სამწუხაროა, ასევე, ასევე, ... [illegible]

[illegible]

[illegible]

[

განცხადება სსრ კავშირის მთავრობისა

განიარაღების საკითხზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად

(დასასრული)

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შეიარაღებული ძალების რიცხვის ზღვარი წესდება 1.700.000 კაცი. შესაბამისად უნდა შემცირდეს ჩვეულებრივი შეიარაღებაც.

ყველა ამ ღონისძიების განხორციელება იმის მომასწავებელი იქნება, რომ ერთი-ერთნახევარი წლის შემდეგ, რაც ძალაში შევა განიარაღების შესახებ ხელშეკრულება, არც ერთ სახელმწიფოს უკვე არ ექნება თავის განკარგულებაში არც საბრძოლო რაკეტები, არც სამხედრო თვითმფრინავები, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან ატომური და წყალბადის ბომბების გადასაზიდავად, არც ამ მიზნისათვის მომარჯვებული სამხედრო ხომალდები, არც რაიმე სხვა საშუალება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მიზანთან ატომგულის ჭურვების მისატანად.

სახელმწიფოთა ტერიტორიაზე არ დარჩება უცხოეთის არც ერთი რაკეტული, საავიაციო, სამხედრო-საზღვაო ან რაიმე სხვა სამხედრო ბაზა. უცხოეთის მთელი ჯარები გაყვანილ იქნებიან სხვათა ტერიტორიებიდან, დამოუკიდებლად იმისა, საოკუპაციო ჯარები არიან ისინი თუ ამქამად განლაგებული არიან სხვათა ტერიტორიებზე რაიმე შეთანხმების შესაბამისად. შესამჩნევად შემცირდებიან სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება.

გაზვიადებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად მსოფლიო შვებით ამოისუნთქავს, რამდენადაც შეჩერებულ იქნება გამლეტელი შეიარაღება, თავიდან აცილებულ იქნება ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე უეცარი ატომური თავდასხმის საფრთხე და არსებითად შემცირდება საერთოდ სამხედრო კონფლიქტის უეცარი დაწყების საფრთხე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთლიანად საერთაშორისო ვითარებაზე.

მაგრამ განიარაღების ღონისძიებათა განხორციელება, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვს პირველი ეტაპისათვის, მაინც ვერ აგვაცილებდა თავიდან სავსებით იმის საფრთხეს. სახელმწიფოთა განკარგულებაში ამის შემდეგაც დარჩება ატომური იარაღი და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებანი, მაგრამ ატომური იარაღი მიზანთან მიტანის უსაშუალებებოდ შეუძლებელია გამოყენებულ იქნას სხვა სახელმწიფოთა საზიანოდ, მაშასადამე, უნდა მოისპოს მიტანის საშუალებანი და დაწესდეს კონტროლი, რომ აღარ მზადდებოდეს მიტანის ეს საშუალებანი. სახელმწიფოებს მაინც ეყოლებათ მნიშვნელოვანი შეიარაღებული ძალები და იქნებათ ჩვეულებრივი შეიარაღება. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოები ჯერ კიდევ შეინარჩუნებენ საშუალებებს, რომელთა დახმარებით შეიძლება გაჩაღებულ იქნას ომი.

ამიტომ საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ პირველი ეტაპის ღონისძიებათა დამთავრებისთანავე, რომლებიც თავიდან ბოლომდე განხორციელდება ზუსტი საერთაშორისო კონტროლით, და მას შემდეგ, რაც საერთაშორისო საკონტროლო ორგანო და უშიშროების საბჭო დარწმუნდებიან, რომ ყველა სახელმწიფომ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ამ ეტაპის შესახებ, სახელმწიფოები შეუდგნენ განიარაღების შემდგომ დიდ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც მეორე ეტაპის შინაარსს შეადგენენ.

მეორე ეტაპზე საბჭოთა მთავრობა მოითხოვს სხვა ღონისძიებათა რიცხვში შეტანილ იქნას ატომგულის, ქიმიური, ბიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის სრული აკრძალვა, ასეთი იარაღის წარმოების მოსპობა და დაგროვებული მარაგის ლიკვიდაცია, აგრეთვე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირება შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესაბამისი შემცირებით.

ამ დიდ ღონისძიებათა განხორციელება იმის მომასწავებელი იქნება, რომ მსოფლიოში აღარ დარჩება მასობრივი მოსპობის იარაღი, ხოლო შეიარაღებული ძალები და ჩვეულებრივი შეიარაღება არსებითად შემცირდება. გასაგებია, რომ ეს მინიმუმამდე დაიყვანს სახელმწიფოთა შორის სამხედრო კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობას.

და მაინც ეს ჯერ კიდევ არ არის კაცობრიობის წინაშე დასახული პრობლემის სრული, საბოლოო გადაჭრა. თუ სახელმწიფოებმა შეინარჩუნეს თუნდაც შეზღუდული შეიარაღებული ძალები, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ომის საფრთხე ჯერ კიდევ გამორიცხული არ არის საზოგადოების ცხოვრებიდან. ხოლო რაკი ასეა, როგორ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ კვლავ არ დაიწყება გამალებული შეიარაღება და მსოფლიო ბოლოს და ბოლოს არ დაუბრუნდება ახლანდელ მდგომარეობას?

მესამე ეტაპზე საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ განიარაღების საქმეში საჭირო წარიდეთ უფრო შორს და დავამთავროთ ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ლიკვიდაცია, შევწყვიტოთ სამხედრო წარმოება, მოვახდინოთ სამხედრო სამინისტროების, გენერალური შტაბებისა და ყოველგვარი სამხედრო და გასამხედროებული დაწესებულებისა და ორგანიზაციის ლიკვიდაცია, აგრეთვე შევწყვიტოთ სახსრების ასიგნება სამხედრო მიზნებისათვის.

საყოველთაო და სრული განიარაღების მესამე ეტაპის დამთავრების შემდეგ სახელმწიფოებს აღარ ეყოლებათ აღარც ჯარისკაცები, არ ექნებათ იარაღი, მაშასადამე, საბოლოოდ და სამუდამოდ იქნება ლიკვიდირებული ომის საფრთხე. მაშინ ხალხთა საუკუნეობრივი ოცნება — მსოფლიო უიარაღოდ, მსოფლიო უომოდ — რეალობა გახდება.

რაც შეეხება სახელმწიფოთა საშინაო უშიშროებას, იგი უზრუნველყოფილ იქნება პოლიციისა თუ მილიციის ზუსტად შეზღუდული შეთანხმებული კონტინგენტებით. თუ საჭირო იქნა, სახელმწიფოები გამოიყოფენ აგრეთვე კონტინგენტებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს განკარგულებაში საერთაშორისო უშიშროების შესანარჩუნებლად.

ასეთია მთავარი პუნქტები საბჭოთა წინადადებისა „საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი“.

საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით მიუდგებიან წინადადების განხილვას — „საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი“.

საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ ამ წინადადების განხილვა გენერალურ ასამბლეაში შესაძლებელს გახდის დაუყოვნებლივ შეუდგეთ განიარაღების საკითხის პრაქტიკულ გადაჭრას და უფრო კონკრეტულ მიმართულებას მისცემს ამ საკითხის გადაჭრას შესაბამის სამუშაო ორგანოში მოლაპარაკების დროს. რაც შეეხება ასეთი სამუშაო ორგანოს შემადგენლობას, საჭიროდ მიგვაჩნია მონაწილეობა მასში, იმ სახელმწიფოთა გარდა, რომლებიც ეკუთვნიან არსებით სამხედრო დაჯგუფებებს, აგრეთვე იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დგანან, რომელთაც საჭირო ეცოცხთ დიდი გავლენა განიარაღების საკითხების განხილვისას. ამასთან სასურველია აგრეთვე, რომ განიარაღების ასეთ ორგანოში წარმოდგენილი იყოს მსოფლიოს ძირითადი რაიონები.

საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების შემუშავება მოლაპარაკების ყველა მონაწილისგან მოითხოვს მოთმინებას, მხარეთა ინტერესების ურთიერთგათვალისწინებას და მოქნილობას. საბჭოთა მთავრობა, ისევე როგორც წინათ, მზად არის ასეთი მოლაპარაკებისათვის. მას ესმის, რომ მთელი მსოფლიოს ხალხები, რომლებსაც მგზნებარედ სურთ განიარაღების პრობლემის ძირეული გადაჭრა, მოუთმენლად ელოდებიან, რომ უფრო სწრაფად დავიწყოთ საყოველთაო და სრული განიარაღების პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება.

რა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც უზრუნველყოფს განიარაღების შესახებ მოლაპარაკების წარმატებას, იქნებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენა. ამით დიდი ჩინეთი მონაწილეობას მიიღებს განიარაღების შესახებ მოლაპარაკების საკითხების განხილვაში.

მთელი მსოფლიოს ხალხები მტკიცედ მოითხოვენ განიარაღების პრობლემის უსწრაფეს გადაჭრას. ისინი მოელიან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა საფუძვლიან სიტყვას იტყვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხზე.

განიარაღების პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა კეთილი ნება და მტკიცე მისწრაფება. საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს ამ პოზიციებიდან მიუდგეს განიარაღების პრობლემის — თანამედროვეობის ყველაზე მწვავე და გადაუდებელი პრობლემის განხილვას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. ხრუშჩოვი

1960 წლის 23 სექტემბერი.

საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების

ძირითადი დებულებანი

საბჭოთა მთავრობის წინადადებანი, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად 1960 წლის 23 სექტემბერს შეიტანა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა

განიარაღების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობები, ხელმძღვანელობენ რა „საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიის 1959 წლის 20 ნოემბრის რეზოლუციით, ახალი ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნისა და მსოფლიოში მტკიცე და ურღვევი მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის საჭიროდ აღიარებენ დაუყოვნებლივ დაიწყონ საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანის პრაქტიკული გადაწყვეტა და ამ მიზნით გადაწყვიტეს შეიმუშაონ საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულება, რომელშიც შევა ქვემოთმოყვანილი ძირითადი დებულებანი.

I. საყოველთაო და სრული განიარაღება ითვალისწინებს, რომ:

— დაიშალოს სახელმწიფოთა მთელი შეიარაღებული ძალები და აიკრძალოს მათი აღდგენა რაიმე ფორმით;

— აიკრძალოს და მოისპოს მთელი მარაგი და შეწყდეს წარმოება ყველა სახეობის შეიარაღებისა, მათ შორის ატომური, წყალბადის, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა სახეობათა მასობრივი მოსპობის იარაღისა;

— მოისპოს ყველა საშუალება, რომლებიც განკუთვნილია მასობრივი მოსპობის იარაღის მიზნათან მისატანად;

— მოისპოს ყოველგვარი სამხედრო ბაზა, გაყვანილ იქნან და დაიშალოს უცხოეთის მთელი ჯარები, რომლებიც იმყოფებიან ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე;

— გაუქმდეს მოქალაქეთა ყველა სახეობის სამხედრო ბეგარა;

— შეწყდეს მოსახლეობის სამხედრო სწავლება და დაიხუროს ყველა სამხედრო სასწავლებელი;

— გაუქმდეს სამხედრო სამინისტროები, გენერალური შტაბები და მათი ადგილობრივი ორგანოები. ისევე, როგორც ყველა სხვა სამხედრო და გასამხედროებელი დაწესებულება და ორგანიზაცია;

— შეწყდეს სახსრების გაცემა სამხედრო მიზნებისათვის როგორც სახელმწიფო ბიუჯეტების ხაზით, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების ხაზით.

საყოველთაო და სრული განიარაღების დამთავრების შემდეგ სახელმწიფოთა განკარგულებაში უნდა დარჩეს მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული თვითეული ქვეყნისათვის შეთანხმებული კონტინგენტები პოლიციისა (მილიციისა), რომლებიც შეიარაღებული იქნებიან მსუბუქი სასროლი იარაღით და რომელთა დანიშნულება იქნება საშინაო წესრიგის დაცვა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დაცვა.

II. საყოველთაო და სრული განიარაღება უნდა განახორციელონ ხელშეკრულების დამდებმა სახელმწიფოებმა ერთსა და იმავე შეთანხმებულ და ზუსტად განსაზღვრულ დროს, ამასთან განიარაღების პროცესი მოხდება თანდათანობით, სამ თანამიმდევრულ ეტაპად, ისე რომ არც ერთ ამ ეტაპზე არც ერთ სახელმწიფოს არ მიეცემა სხვა სახელმწიფოთა წინაშე სამხედრო უპირატესობანი, რომლებიც წარმოიშობა განიარაღების მსვლელობიდან.

საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმებასთან სხვა სახელმწიფოების შეერთების საკითხის განსახილველად მოწვეულ იქნება კონფერენცია ყველა ქვეყნის მონაწილეობით.

III. განიარაღების ყველა ღონისძიება თავიდან ბოლომდე განხორციელდება მტკიცე და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით, სახელდობრ:

ა) ხელშეკრულების ხელისმოწერისთანავე არსდება მოსამზადებელი კომისია, რომლის ამოცანა იქნება განახორციელოს პრაქტიკული ღონისძიებანი საყოველთაო და სრული განიარაღების საკონტროლო საერთაშორისო ორგანიზაციის შესაქმნელად.

ბ) საკონტროლო ორგანიზაცია უნდა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტში. ამ ორგანიზაციის შემადგენლობაში იქნება ხელშეკრულების მონაწილე ყველა სახელმწიფო, რომელთა წარმომადგენლები პერიოდულად შეიკრიბებიან კონფერენციაზე განიარაღებისადმი ეფექტიანი კონტროლის განხორციელებისთან დაკავშირებულ საკითხთა განსახილველად. კონფერენცია ირჩევს საკონტროლო საბჭოს, რომელიც შედგება მუდმივი და არამუდმივი წევრებისგან და რომელსაც ექნება თავისი ორგანოები ადგილებზე. საკონტროლო საბჭო შედგება სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებისაგან, იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ახლა შედიან დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში, და ნეიტრალური სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. განსაკუთრებით დათქმულ შემთხვევებს გარდა, საკონტროლო საბჭო გადაწყვეტილებებს არსებით საკითხებზე იღებს ხმების ორი მესამედით, ხოლო საპროცედურო საკითხებზე — ხმის უბრალო უმეტესობით.

გ) საკონტროლო საბჭო ახორციელებს საკონტროლო სისტემისადმი პრაქტიკულ ხელმძღვანელობას, ამუშავებს ინსტრუქციებს, აგრეთვე დროზე უკეთებს ანალიზს და ამუშავებს მიღებულ მოხსენებებს. სახელმწიფოები საკონტროლო საბჭოს უდგენენ ცნობებს თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შესახებ.

დ) საკონტროლო ორგანიზაციას შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანაში ეყოლება საკუთარი პერსონალი, რომელიც კომპლექტდება საერთაშორისო საფუძველზე სამართლიანი გეოგრაფიული განლაგების პრინციპის გათვალისწინებითა და ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად. საკონტროლო ორგანიზაცია თავის ინსპექტორებს განალაგებს სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ისე, რომ მათ შეეძლოთ შეუდგნენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას იმ მომენტში, როცა სახელმწიფოები დაიწყებენ განიარაღების ღონისძიებათა განხორციელებას. ხელშეკრულების ყოველი მონაწილე მოვალეა უზრუნველყოს, რომ კონტროლიორები და საინსპექციო ჯგუფები დროზე და დაუბრკოლებლად მიდიოდნენ თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში ყოველ პუნქტთან, რომელშიც განხორციელდება განიარაღების შესამოწმებელი ღონისძიებანი, ან ყოველ რაიონში, სადაც ადგილობრივ ხორციელდება ინსპექცია ამგვარ ღონისძიებათა მიხედვით. ხელშეკრულების მონაწილენი ამ მიზნით საკონტროლო ორგანიზაციის პერსონალს საკონტროლო ორგანიზაციის ხარჯზე მისცემენ ტრანსპორტის ყველა საჭირო საშუალებას მათი ტერიტორიების ფარგლებში მგზავრობისათვის.

ე) საკონტროლო ორგანიზაციის პერსონალი ხელშეკრულების ყოველი მონაწილის ტერიტორიაზე ისარგებლებს ისეთი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დამოუკიდებლად და დაუბრკოლებლად განახორციელონ კონტროლი განიარაღების, ხელშეკრულების შესრულებისადმი.

ვ) საერთაშორისო კონტროლიორთა ჯგუფების შემადგენლობაში უნდა შევიდნენ სპეციალისტები დასაშლელი ნაწილების ხასიათისა და მოსასპობი შეიარაღების სახეობათა მიხედვით.

ზ) კონტროლიორთა კავშირი საკონტროლო საბჭოსთან ხორციელდება კავშირგაბმულობის არსებული არხებით, ამასთან მათ ეძლევა ისეთი პრივილეგიები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოხსენებათა და განკარგულებათა სწრაფ მიტანას.

თ) საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაციის ყველა ხარჯის დაფინანსება ხორციელდება იმ სახსრებიდან, რომლებსაც ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები გამოიყოფენ. სახელმწიფოთა შეფასებების სკალა ჩაიწერება საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ტექსტში.

საკონტროლო ორგანიზაციას ყოველ ეტაპზე უნდა ექნეს რწმუნებანი განიარაღების ღონისძიებათა მოცულობისა და ხასიათის მიხედვით.

განიარაღების ძირითადი ღონისძიებანი ნაწილდება საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის სამი ეტაპის მიხედვით შემდეგნაირად:

პირველი ეტაპი

1. სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებიდან ამოიღება, წარმოება წყდება და ისპობა ატომური იარაღის მიტანის ყველა საშუალება, მათ შორის:

— სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რაკეტები, ყველა სახეობის თვითმფრინავი — ყუმბარები, ყველა საომარი თვითმფრინავი, რომელთაც შეუძლიათ ატომური იარაღის მიტანა;

— წყალზედა საომარი ხომალდები, რომელთა გამოყენება შეიძლება ატომური იარაღის მატარებლად;

— ყველა კლასისა და ტიპის წყალქვეშა ნავები;

— ყველა საარტილერიო სისტემა, აგრეთვე სხვა საშუალებანი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან ატომური და წყალბადის იარაღის მატარებლად.

2. ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები მცირდება დაწესებულ დონემდე, აქედან ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები მცირდება არაუმეტეს 1,7 მილიონი კაცის დონემდე. განთავისუფლებული იარაღი და ჩვეულებრივი ტიპის საომარი მასალა უნდა მოისპოს, ხოლო საომარი ტექნიკა — უნდა მოისპოს ან გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნით. შესაბამისად მცირდება სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები.

3. წარმოებს უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა სხვათა ტერიტორიებიდან თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში. უქმდება უცხოეთის სამხედრო ბაზები და ყველა დანიშნულების საწყობები როგორც ჯარების გაყვანის შემდეგ განთავისუფლებული, ისე სათადარიგო.

4. პირველი ეტაპის დასაწყისიდან და ატომგულის იარაღის მიტანის ყველა საშუალების საბოლოო მოსპობამდე აკრძალულია ორბიტაზე გაყვანა ან კოსმოსურ სივრცეში სპეციალურ მოწყობილობათა მოთავსება, ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ სამხედრო ხომალდების გასვლა და თავიანთი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებიდან იმ სამხედრო თვითმფრინავების გაფრენა, რომელთაც უნარი აქვთ ატომურ მასობრივი მოსპობის იარაღი.

5. რაკეტების გაშვება წარმოებს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერული სამშვიდობო მიზნებით წინასწარ დადგენილი და ურთიერთშეთანხმებული კრიტერიუმების შესაბამისად და მას თან ახლავს შემოწმების შეთანხმებული ღონისძიებანი, მათ შორის ინსპექცია ასეთი რაკეტების გასაშვები მოედნების განლაგების ადგილზე.

6. სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ ატომგულის იარაღი, ვალდებულებას კისრულობენ ასეთი იარაღი ან მისი წარმოებისათვის საჭირო ინფორმაცია არ გადასცენ სახელმწიფოებს, რომელთაც ასეთი იარაღი არა აქვთ. ამავე დროს სახელმწიფოები, რომელთაც ატომგულის იარაღი არა აქვთ, ვალდებულებას კისრულობენ თავი შეიკავონ ამ იარაღის წარმოებისაგან.

7. შესაბამისად სახელმწიფოები ამცირებენ ხარჯებს სამხედრო მიზნებისათვის.

8. პირველ ეტაპზე ხორციელდება კონტროლის შემდეგი ღონისძიებანი:

წესდება საერთაშორისო კონტროლი ადგილზე რაკეტული იარაღის, საომარი თვითმფრინავების, წყალზედა სამხედრო ხომალდებისა და წყალქვეშა ნავების და იმ სხვა საშუალებათა ლიკვიდაციისადმი, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან როგორც ატომური და წყალბადის იარაღის მატარებლები.

სხვათა ტერიტორიებზე სამხედრო ბაზებისა და უცხოეთის ჯარების განლაგების ადგილებში იგზავნებიან საერთაშორისო საინსპექციო ჯგუფები, რათა განახორციელონ მეთვალყურეობა აღნიშნული ბაზების ლიკვიდაციისა და ეროვნული ტერიტორიების ფარგლებში სამხედრო პერსონალისა და ჯარების გაყვანისადმი, აგრეთვე წესდება კონტროლი აეროდრომებზე და ნავსადგურებში, რომლიც უზრუნველყოფს ამ აეროდრომებისა და ნავსადგურების სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების არდაშვებას. ამავე დროს საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაციის მეთვალყურეობით წარმოებს რაკეტების გასაშვები მოედნების დანგრევა, იმ მოედნების გარდა, რომლებიც დარჩება რაკეტების გასაშვებად მეცნიერული მშვიდობიანი მიზნებით.

საკონტროლო ორგანიზაციას უფლება ექნება დაუბრკოლებლივ გაუწიოს ინსპექცია ყველა საწარმოს, ქარხანას, ფაბრიკასა და ელეფენტს, რომლებიც წინათ დასაქმებული იყვნენ მთლიანად ან ნაწილობრივ ეწარმოებინათ რაკეტები, თვითმფრინავები, წყალზედა სამხედრო ხომალდები, წყალქვეშა ნავები და ატომგულის იარაღის მატანის ყველა სხვა საშუალება იმისათვის, რომ დაშვებულ არ იქნას იმ შეიარაღების ფარული წარმოების ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ატომური და წყალბადის იარაღის მატარებლად. შეთანხმებით შეიძლება შეიქმნას მუდმივი საკონტროლო ჯგუფები ზოგიერთ ქარხანასთან და დანადგართან.

ხორციელდება საერთაშორისო კონტროლი ადგილზე ჯარების დაშლასა და შეიარაღების მოსპობისადმი.

კონტროლიორთა ამოცანებია: მეთვალყურეობა გაუწიონ შენაერთებისა და ნაწილების დაშლის შესახებ, ჩვეულებრივ სახეობათა შეიარაღების მატერიალური ნაწილის, სამხედრო ტექნიკისა და საომარი მარაგის ამოღებისა და მოსპობის დადაწყვეტილებათა ზუსტად და დროზე შესრულებას: მოხსენებათა წარდგენა საკონტროლო საბჭოში და იმ ქვეყნის მთავრობისათვის, სადაც ისინი იმყოფებიან.

საკონტროლო ორგანიზაციას საშუალება ეძლევა დაუბრკოლებლად გაეცნოს მასალებს, რომლებიც შეეხება სახელმწიფოთა სამბიუჯეტო ასიგნებებს სამხედრო მიზნებისათვის, მათ შორის ამ საკითხზე სახელმწიფოთა საბანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას.

საერთაშორისო საინსპექციო ჯგუფებს, რომლებსაც საკონტროლო ორგანიზაცია გაგზავნის, უფლება ექნებათ აწარმოონ იმ რაკეტული დანადგარების ყოველმხრივი დათვალიერება, რომლებსაც უშვებენ მშვიდობიანი მეცნიერული მიზნებით, და დაესწრონ მათს გაშვებას.

9. პირველ ეტაპზე განხორციელდება ერთობლივი შესწავლა ატომგულის, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წარმოების შეწყვეტის ღონისძიებებისა და ამ სახეობათა იარაღის მარაგის ლიკვიდაციის ღონისძიებებისა, რომლებიც მეორე ეტაპზე უნდა განხორციელდეს.

10. პირველი ეტაპი უნდა დამთავრდეს დაახლოებით ერთი-ერთნახევარი წლის განმავლობაში. საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაცია აჯამებს პირველი ეტაპის ღონისძიებათა განხორციელების შედეგებს, რათა ისინი მოახსენოს ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას.

მეორე ეტაპი

1. ატომგულის, ქიმიური, ბიოლოგიური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის სრული აკრძალვა და ამ სახეობათა იარაღის წარმოების შეწყვეტა და მთელი მარაგის ლიკვიდაცია.

2. ხორციელდება შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემდგომი შემცირება იმ დონეებამდე, რომლებიც უნდა შეთანხმდეს. შესაბამისად მცირდება სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები.

3. მეორე ეტაპზე ხორციელდება კონტროლის შემდეგი ღონისძიებანი:

საკონტროლო ორგანიზაციის წარმომადგენლები ადგილებზე ინსპექციას უწევენ ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის მთელი არსებული მარაგის მოსპობას. საკონტროლო ორგანიზაციას უფლება ექნება ინსპექცია გაუწიოს ყველა საწარმოს, რომლებიც ეწევიან ატომური ნედლეულის მოპოვებას, აწარმოებენ ან იყენებენ ატომურ მასალებს ან ატომის ენერგიას. შეთანხმებით შეიძლება შეიქმნას მუდმივი საკონტროლო ჯგუფები ზოგიერთ საწარმოსთან და დანადგართან.

გრძელდება განხორციელება საერთაშორისო კონტროლისა ადგილზე ჯარების დაშლისა და შეიარაღების მოსპობისადმი.

4. მეორე ეტაპზე წარმოებს ერთობლივი შესწავლა შემდეგი ღონისძიებებისა, რომლებიც უნდა განხორციელდეს მესამე ეტაპზე:

ა) საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი ყველა იმ ღონისძრებათა დამთავრების შემდეგ, რომლებიც გათვალისწინებულია ასეთი ხელშეკრულებით;

ბ) მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. საყოველთაო და სრული განიარაღების პირობებში.

5. ისევე როგორც პირველი ეტაპიდან მეორეში გადასვლის დროს, საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაცია აჯამებს მეორე ეტაპის ღონისძიებათა განხორციელების შედეგებს, რათა ისინი მოახსენოს ხელშეკრულების სახელმწიფოებს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას.

მესამე ეტაპი

1. ყველა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ლიკვიდაციის დამთავრება.

სახელმწიფოთა განკარგულებაში რჩება ყოველი ქვეყნისათვის მხოლოდ ზუსტად განსაზღვრული, შეთანხმებული პოლიციის (მილიციის) კონტინგენტები, შეიარაღებულნი მსუბუქი სასროლი იარაღით და განკუთვნილნი შინაგანი წესრიგის შენარჩუნებისა და მოქალაქეთა პირადი უშიშროების დაცვისათვის.

2. ისპობა ყველა დარჩენილ სახეობათა ჩვეულებრივი შეიარაღება და საომარი მარაგი, რომელიც აქვთ როგორც შეიარაღებულ ძალებს, ისე საწყობებში, ხოლო სამხედრო ტექნიკა უნდა მოისპოს ან გამოყენებულ იქნას მშვიდობიანი მიზნებით.

3. ისპობა სამხედრო წარმოება ყველა ქარხანაში, მათ შორის წყდება ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების წარმოება, გარდა მსუბუქი სასროლი იარაღის ზუსტად განსაზღვრული წარმოებისა, რომელიც განკუთვნილია პოლიციის (მილიციის) იმ კონტინგენტებისათვის, რომლებიც რჩებათ სახელმწიფოებს საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის დამთავრების შემდეგ.

4. უქმდება სამხედრო სამინისტროები, გენერალური შტაბები, ყველა სამხედრო და გასამხედროებული დაწესებულება და ორგანიზაცია. წყდება რეზერვისტთა ყოველგვარი შეკრების მოწყობა. სახელმწიფოები თავიანთი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად იღებენ საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც კრძალავენ ახალგაზრდობის სამხედრო განათლებას და რომლებიც აუქმებენ ყოველგვარი ფორმის სამხედრო სამსახურს.

5. წყდება სახსრების გადადება ყოველი სახეობის სამხედრო მიზნებისათვის როგორც სახელმწიფო ორგანოების ბაზით, ისე კერძო პირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით. საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების შედეგად განთავისუფლებულ სახსრებს იყენებენ მოსახლეობის გადასახადების შემცირების ან სრული გაუქმებისათვის, ეროვნული ეკონომიკის სუბსიდირებისათვის, სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი ეკონომიური და ტექნიკური დახმარების გაწევისათვის.

6. მესამე ეტაპზე ხორციელდება კონტროლის შემდეგი დამატებითი ღონისძიებანი:

საერთაშორისო საკონტროლო ორგანიზაცია კონტროლიორებს გზავნის, რათა ადგილზე შეამოწმოს სამხედრო სამინისტროების, გენერალური შტაბების, ყველა სამხედრო და გასამხედროებული დაწესებულებისა და ორგანიზაციის გაუქმება, სამხედრო წვრთნისა და ყველა სხვა სახეობის სამხედრო მოქმედების შეწყვეტა.

წესდება კონტროლი სამხედრო მიზნებისათვის სახსრების გამოყოფის შეწყვეტისადმი.

საკონტროლო ორგანიზაციას საჭირო შემთხვევებში შეუძლია დაიწესოს საჰაერო მეთვალყურეობისა და აეროფოტოგადაღებათა სისტემა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

7. საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის დამთავრების შემდეგ საკონტროლო ორგანიზაცია რჩება და ახორციელებს მუდმივ მეთვალყურეობას სახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი. საკონტროლო საბჭოს უფლება ექნება მოძრავი საინსპექციო ჯგუფები გაგზავნოს ყოველ პუნქტსა და ყოველ ობიექტში სახელმწიფოთა ტერიტორიებზე.

სახელმწიფოები საკონტროლო ორგანიზაციას აცნობებენ მონაცემებს პოლიციის (მილიციის) კონტინგენტების განლაგების პუნქტების, ყოველ პუნქტში (რაიონში) მათი რიცხვის, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრების ახლოს პოლიციის (მილიციის) მნიშვნელოვანი კონტინგენტების ყველა ადგილგადანაცვლების შესახებ. საერთაშორისო საინსპექციო ჯგუფები ახორციელებენ ყოველმხრივ კონტროლს იმისადმი, რომ პოლიციის (მილიციის) რიცხობრივი შემადგენლობა და მისი შეიარაღება შეეფასებინებოდეს თვითეული ქვეყნისათვის შეთანხმებულ ნორმებს.

8. ძალაში შედის სრული განიარაღების შესახებ ხელშეკრულების დაცვის უზრუნველყოფის სხვა შემუშავებული ღონისძიებანი.

9. ხორციელდება მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების ღონისძიებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად. სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას საჭირო შემთხვევებში უშიშროების საბჭოს გადასცენ შენაერთები პოლიციის (მილიციის) იმ კონტინგენტების რიცხ

საერთაშორისო
ლეკვები, ცხოვრები, ეროვნული
ცხოვრება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესია

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. (საკდესი). 23 სექტემბრის დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

ირანის წარმომადგენელმა მეჯლი ვაქილმა თავის სიტყვაში დაადასტურა ის უდიდესი წინსვლა, რაც მთელ მსოფლიოში მოხდა, კერძოდ, შესანიშნავი წარმატებანი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და კოლონიური სისტემის სწრაფი დაცემა. ამ პირობებში, განაცხადა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მასტაბილიზებელი ფაქტორია სწრაფად ცვალებად საერთაშორისო ვითარებაში. როცა ჩვენ ამ დარბაზში შევიკრიბეთ გასული წლის სექტემბერში, განაგრძო ვაქილმა, აქ სუფევდა ურთიერთგაგებისა და ოპტიმიზმის ატმოსფერო საერთაშორისო დაძაბულობის უეცარი შენელების გამო. მთელი მსოფლიო მოელოდა უმაღლესი დონის თათბირს. უმაღლესი დონის თათბირის მარცხმა და მის მიერ გამოწვეულმა შედეგებმა, თქვა ირანის დელეგატმა, დარტყმა მიაყენეს იმ იმედებს, რომელთაც ამ თათბირზე ამყარებდნენ. მაგრამ, ირანის წარმომადგენელმა ვერ გაიგო დაესახელებინა უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლისა და საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავების დამნაშავენი.

ფაქტების საწინააღმდეგოდ, ვაქილმა შეაქო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლის საქმიანობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის საქმიანობა კონგოში, რამაც, მისი სიტყვით, ხელი შეუწყო „მასტაბილიზებელი ელემენტების შეტანას ამ ქვეყნის სახიფათო მდგომარეობაში“.

აღიარა რა, რომ მთელი მსოფლიო მოითხოვს განიარაღებასა და მასობრივი განადგურების საფრთხის აღმოფხვრას, ირანის დელეგატმა ამავე დროს გაიმეორა მტკიცებანი ამერიკის შეერთებული შტატების მძაფრული წოვრებისა, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ განიარაღება შეიარაღებისადმი კონტროლით.

ეიზენჰაუერისა და ტიტოს შეხვედრა

ნიუ-იორკი, 23 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს ოტელ „უოლდორფ-ასტორიაში“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი შეხვდა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ტიტოს.

შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნული არ არის, თუ რა საკითხები განიხილეს.

გამოცხადდა მალის რესპუბლიკა

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საააგენტოს კორესპონდენტი დამაკოდან იუწყება, სუდანის რესპუბლიკის საკანონმდებლო კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება მალის დამოუკიდებელი და სუვენერული რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ.

როგორც ცნობილია, სუდანის რესპუბლიკა სენეგალთან ერთად 1959 წლის პირველი იანვრიდან შედიოდა მალის ფედერაციის შემადგენლობაში. მაგრამ იმ შეთქმულების შედეგად, რომელიც მიმდინარე წლის აგვისტოში განხორციელდა, იმპერიალისტებმა შეძლეს გაეთიშათ მალის ფედერაცია და 19 აგვისტოდან სენეგალი გავიდა ამ ფედერაციის შემადგენლობიდან.

ეიზენჰაუერი ნიუ-იორკიდან გაფრინდა

ნიუ-იორკი. 23 სექტემბერი. (საკდესი). ღღეს, ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომის გახსნამდე, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გაემართა „იიდლუაილდის“ აეროდრომზე, საიდანაც ვაშინგტონს გაფრინდა.

დაკაპიტულირებულ ანტუან გიზენგი

კონგოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე

ლონდონი, 23 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ლეოპოლდვილიდან იუწყება, იქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ პოლკოვნიკ მობუტუს ჯარისკაცებმა დააპატიმრეს კონგოს რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ანტუან გიზენგი.

ეიზენჰაუერი ნიუ-იორკიდან გაფრინდა

ნიუ-იორკი. 23 სექტემბერი. (საკდესი). ღღეს, ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომის გახსნამდე, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გაემართა „იიდლუაილდის“ აეროდრომზე, საიდანაც ვაშინგტონს გაფრინდა.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მე-11 საამქროს მუშები ეცნობიან ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გამოხმაურება ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაზე

კუბა

ჰავანა, 24 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას საერთაშორისო ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე გუშინ უშუალოდ ნიუ-იორკიდან მთელ კუბაში გადასცემდა მრავალი რადიო და სატელევიზიო სადგური.

კუბის მოსახლეობამ უდიდესი ინტერესით მოისმინა საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლა ტელევიზორის ეკრანებთან და რადიომიმღებებთან.

ინგლისი

ლონდონი, 24 სექტემბერი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე უდიდესი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. რეიტერის საააგენტომ დაიწყო საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლის დაჭრილებითი შინაარსის გადაცემა მაშინვე, როგორც კი ნ. ს. ხრუშჩოვი ტრიბუნაზე ავიდა. ლონდონის საღამოს გაზეთებმა პირველ გვერდზე გამოქვეყნეს ცნობა საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლის შესახებ. „ივნინგ სტანდარდმა“ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შინაარსი დაბეჭდა მთელ პირველ გვერდზე სათაურით — „ხრუშჩოვი: ბოლო მოუღეთ მანევრებსა და გაჯანჯღლებას!“ „ივნინგ სტანდარდი“ გამოყოფს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ „დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“.

ცნობა საბჭოთა კავშირის ახალ წინადადებათა შესახებ განიარაღების დარგში, გაზეთმა „სტარმა“ ასე დაასათაურა: „ხრუშჩოვი გვთავაზობს განიარაღების ვრცელ გეგმას“.

ეიზენჰაუერი ნიუ-იორკიდან გაფრინდა

ნიუ-იორკი. 23 სექტემბერი. (საკდესი). ღღეს, ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომის გახსნამდე, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გაემართა „იიდლუაილდის“ აეროდრომზე, საიდანაც ვაშინგტონს გაფრინდა.

ეიზენჰაუერი ნიუ-იორკიდან გაფრინდა

ნიუ-იორკი. 23 სექტემბერი. (საკდესი). ღღეს, ჯერ კიდევ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარული სხდომის გახსნამდე, პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გაემართა „იიდლუაილდის“ აეროდრომზე, საიდანაც ვაშინგტონს გაფრინდა.

შეიარაღების ტვირთი უნდა შემსუბუქდეს

პარიზი, 23 სექტემბერი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თავის სხდომაზე, რომელიც 22 სექტემბერს გაიმართა მორის ტორეზის თავმჯდომარეობით, განიხილა საერთაშორისო მდგომარეობა, რაც წარმოიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის გახსნის შემდეგ.

ეს სესია, ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც მიიღეს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე, რასაკვირველია, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ზიანი მოაქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ჩვენი მმართველები არა მარტო ჯიუტობენ და არ სურთ გაგზავნონ პირველი რანგის მოღვაწე გენერალურ ასამბლეაში, არამედ აგრეთვე ახორციელებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დისკრედიტაციის კამპანიას. თავის კომუნიკეში მინისტრთა საბჭო ახლაც კი ეცადა ოდნავ სესია შედეგებს და ჭიანასწორ უარყოფს მის გადაწყვეტილებებს. ეს ღვარძლიანი პოზიცია შეუფერებელია ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, და ზიანს აყენებს საფრანგეთის ინტერესებს, გაალენასა და რეპუტაციას.

ამრიგად, გენერალ დეგოლს განზრახული აქვს განაგრძოს ცივი ომი და კბილებამდე შეიარაღება, ამასთან რეკანფისტული ბონის გერმანიის განუსაზღვრელი შეიარაღება, და არ ითვალისწინებს იმას, თუ რა საფრთხეს უმზადებს ეს პოლიტიკა საფრანგეთსა და მშვიდობის საქმეს.

გარდა ამისა, იგი შიშობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა, განიხილავს რა ალჟირის ომის პრობლემას ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობისა და სხვა სახელმწიფოთა ინიციატივით, დაგმობს მის ჯიუტ უარს — დაადგეს ნამდვილი მოლაპარაკების გზას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და ალჟირელთათვის თვითგამოოკვეთის უფლების თავისუფალი განხორციელების გარანტიების შესახებ, თვითგადარეკვისა, რომელიც მან, სხვათაშორის, სწორედ ამ ერთი წლის წინ სიტყვიერად აღიარა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო მოუწოდებს ყველა მშრომელს, დემოკრატებს, ყველა მათგანს, ვისაც სურს მშვიდობა და განიარაღება, გაერთიანდნენ და იბრძოლონ დაძაბულობის შენელების პოლიტიკისათვის, განიარაღებისათვის და ალჟირში მოლაპარაკებისათვის, იმ პოლიტიკისათვის, რომელსაც შეუძლია განაზრაციელოს ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობა ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრობის გზით.

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განცხადება

ქართველ მოჭადრაკე ქალთა წარმატება

ბროზნო. ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატში გუშინ შედგა გადადებული და გამოტოვებული პარტიების დამთავრება.

ტოგონიძეს გამოტოვებული პარტია ჰქონდა ლიაპუნოვასთან. ქართველი მოჭადრაკე განიცდიდა დროს ნაკლებობას, 20 სვლის გაკეთება უნდა მოესწრო 15 წუთში, მოწინააღმდეგეს კი საათზე მეტი ჰქონდა დარჩენილი. მაგრამ ლიაპუნოვა ისე გაერთო გარიანტების შერჩევით, რომ თვითონ მოეტაცა ციტნოტში და ოცდამეცხრამეტე სვლაზე საათის ისარი ჩამოუვარდა. გაფრინდაშვილმა დაამარცხა შპიკენესი, ესტერკინამ — ბრილოვა.

XII ტურის შემდეგ ნ. გაფრინდაშვილს აქვს 10,5 ქულა, მ. ტოგონიძეს 9,5 ქულა, ო. რუბცოვას და ა. კოზლოვსკაიას ცხრა-ცხრა ქულა.

კალინინი. ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატში IX ტურის შემდეგ მოხდა გადადებული პარტიების დამთავრება. საქართველოს წარმომადგენელმა ა. ჩაიკოვსკაიამ რუდენკოსთან პარტია ყაიმით დაამთავრა. X ტურში დაამარცხა მოსკოველი კაპცოვა. დღეისათვის ტურნირს 8 ქულით კვლავ ჩაიკოვსკაია ლიდერობს.

უგზოროდი. ქალთა საკავშირო ნახევარფინალურ საჭადრაკო ჩემპიონატში X ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ტიხომიროვას აქვს 7,5 ქულა, კრიუკოვას — 7, კაკაბაძეს — 6, კაცკოვას — 5,5, სდანდსტრემს — 5 და ერთი გადადებული პარტია. კაკაბაძეს სათამაშო დარჩა ორი პარტია — კაცკოვასა და ლინსკაიასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის ამბები

მეგობარობა შეხვედრები

გუშინ თბილისში კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართა ორი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში.

მოოდანზე პირველად გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის ხუთეული ჩემპიონ „სლოვან ორბისისა“, და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქალი კალათბურთელები. პირველი ტაიმის თხუთმეტი წუთი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, ანგარიშში განსხვავება ერთი-ორი ქულა იყო. ზხრად სადემონსტრაციო ფარზე გამოსახული იყო ციფრები 12:12; 20:20; 22:22. მაგრამ უკანასკნელ სამ წუთში სტუმრებმა გატეხეს მასპინძელთა წინააღმდეგობა და პირველი ტაიმი დაამთავრეს ანგარიშით 30:24 თავიანთ სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარში „სლოვან ორბისის“ გუნდის უპირატესობა აშკარა იყო. მატჩი დამთავრდა სტუმრების გამარჯვებით ანგარიშით 59:35.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ვაუთა გუნდები — ქალაქ ბრნოს „სპარტაკის“ და თბილისის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელთა გუნდები. თამაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. თბილისელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და ანგარიშიც მათ სასარგებლოდ წარიმართა.

შეხვედრა დამთავრდა „ბურევესტნიკის“ გამარჯვებით ანგარიშით 73:72.

დღეს საღამოს „სლოვან ორბისი“ ეთამაშება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდს, ხოლო „სპარტაკი“ თბილისის „დინამოს“.

ფეხბურთი

„ლოკომოტივი“ ამარცხებს „ტორპედოს“

მოსკოვი. 24 სექტემბერი. დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა პირველი ფინალური ჯგუფის გუნდების „ტორპედოსა“ და „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა მატჩი. შეხვედრის ანგარიშია 2:1 ლოკომოტიველთა სასარგებლოთ.

კიევი. 24 სექტემბერი. ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ფინალური ჯგუფის გუნდები — „დგდინამო“ და როსტოვის სკა. მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:1.

გუშინ ლენინგრადში კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ნაკრები და ლენინგრადის „ზენიტი“. მატჩი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით — 4:1.

ამინდი

26 და 27 სექტემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე, რიონის ხეობაში ძლიერი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 23-28 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 19-24 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 9-14, დღისით 16-21, მთიან რაიონებში ღამით 2-7, დღისით 13-18 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მეტლიშვილი.

რუმინეთის ცირკი თბილისში

ცირკის სეზონი გაიხსნა

ის, ვინც ხუთშაბათს თბილისის სახელმწიფო ცირკში სეზონის გახსნას დაესწრო, მოწმე გახდა, თუ როგორ უსაზღვროა ხალხთა მისწრაფება მშვიდობისაკენ, მეგობრობისაკენ, თუ იყო ნაძღვილი ზეიმი, ქართველი, რუმინელი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, როგორც ერთი დედის შვილები, ერთსულოვნად რიტმული ტაშით ძილსალმებოდნენ მშვიდობის სიმბოლოს— თეთრ მტრედს, რომელიც მაღლა აღმართათ წყალში მცურავ ტივზე მდგომ რუმინული ეროვნული ტახსაცმლით გამოწყობილ ქალ-ვაჟს. ეს იყო ფინალური სცენა იმ დიდი, მეტად ორიგინალური წარმოდგენისა, რომელიც ბუქარესტის სახელმწიფო ცირკის მსახიობმა თბილისელ მაყურებელს უჩვენეს.

სიტყვა „წყალი“, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ გადატანითი მნიშვნელობით როდია ნათქვამი. დიახ, სწორედ „წარმოდგენა წყალზე“, ასე ეწოდება ამ ორიგინალურ ატრაქციონს, რომელიც ახალ სიტყვად შეიძლება ჩაითვალოს საცირკო ხელოვნებაში.

— ამ სანახაობის განხორციელებას, — გვიყვება სცენარის ავტორი და დამდგმელი ცეზარ ციპა, — თავისი პატარა ისტორია აქვს. ახლოვდებოდა ფაშისტური გერმანიისაგან რუმინეთის რესპუბლიკის განთავისუფლების მე-15 წლისთავი. ამ სახალხო ზეიმთან დაკავშირებით ჩვენი ცირკის კოლექტივმა გადაწყვიტა მაყურებლისათვის ეჩვენებინა რაიმე ახალი, ორიგინალური. და, აი, ცირკის დირექტორის კაბინეტში ატყდა კამათი. სკეპტიკოსები იოლად არ თმობდნენ ძველ ტრადიციებს, მაგრამ ახალგაზრდობამ და ენთუზიასტებმა თავისი გაიტანეს. გადაწყდა შეგვექმნა წარმოდგენა წყალზე, რომელიც წარმართებოდა ერთ მთლიან ნაწარმოებად კონფერანსიეს მიერ გამოუცხადებლად. დრო კი არ ითმენდა. ორ თვეში წარმოდგენა მზად უნდა ყოფილიყო. საჭირო ინვენტარი ჩვენვე დაეამზადათ გეორგე მოისეს ტექნიკური ხელმძღვანელობით. მუსიკა დაგვიწერეს ჩვენი ჯაზ-ორკესტრის „ალა ბრეკვეს“, რომელიც რუმინეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს, წევრებმა, ჯაზის მუსიკალურმა ხელმძღვანელმა ლ. კაკასმა. დირიჟორმა ვ. პოპესკუმ და პიანისტმა გ. მანდელმა. გამოვიყენეთ აგრეთვე ცნობილი კომპოზიტორის ხ. მალინიანუს და სხვათა მელოდიები.

...ჰაერში გაისმის მხიარული მარშის მელოდიები. ფოლადისფერ ჰიდროთვითმფრინავზე შემდგარი, თეთრებით გამოწყობილი ქალ-ვაჟი ჩაჩილია და კრატეული ჰაერში აარულებენ ოთულ ეარჯიმებს. დარბაზში მყოფნი დაძაბულნი შეპყურებენ მათ. ვარჯიში მთავრდება. სანახაობით აღტაცებული მაყურებლის ტაშის გრიალში ჰიდროთვითმფრინავი წყალში ეშვება...

მძლავრ მელოდიას მშვიდი, მხიარული ჰანგები ცვლის. აი, ნელა მოტივტივებს წყლით სავსე არენაზე ნავი. იწყება ექსცენტრიკადა, რომელსაც ასრულებენ მოსკოვის მე-6 საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატები — ოთხი მუტიანუ. მხიარული მეგობრები ერთგულად უსვამენ ნიჩბებს. უცებ ერთი მათგანი თავს ვერ იკავებს და წყალში ვარდება, მეგობრები კი ეშვებენ „განსაცდელში“ ჩავარდნილ ამხანაგს. იწყება სცენები მისი წყლიდან ამოყვანისა, რომლებიც მრავალად შეიცავენ იუმორისტულ ფორმებს და მაყურებლის მხიარულ სიცილს იწვევენ.

კვლავ იცვლება მელოდია და მეტად ეფექტურ, სხვადასხვა ფერებით განათებულ წყალში მოცურავენ პატარა თეთრი დუმფარები, რომლებიც ზრდად ეცვლებიან დიდ დუმფარას. იფურჩქნება ყვავილი და მისი გულიდან ამოდიან მოსკოვის ფესტივალის ლაურეატები — დები სალვეცები. ისინი შესანიშნავად ასრულებენ პლასტიკურ ეტიუდებს.

დაწერილებით აღარ შეჩერდებით თვითეულ ნომერზე, რომელთა შესრულებამ მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. დავსახელებთ მხოლოდ რამდენიმეს. არ შეიძლება არ მოგეწონოთ ცხოველთა მწვრთნელი სერჯიო დერმენჯი. ცირკის გუმბათქვეშ მოვარჯიშე კესეგები და სალვეცები, ბატების ჭიდილი (ბალეტი წყალზე), რომლის მონაწილენი წყალში ასრულებენ ცეკვა „ჩა-ჩა-ჩას“ და, რაც მთავარია, სიცილის ოსტატები ცანდარაკი და ჯეკი.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენა წყალზე, რაც ქართველმა მაყურებელმა აღტაცებით მიიღო, გაცილებით მოიგებდა, ეთი მთლიანი ფაბულა რომ ჰქონოდა.

წარმოდგენის დასასრულ ვინახულეთ ცეზარ ციპა და მივულოცეთ წარმატება.

— ჩემი სამოცი ამხანაგის სახელით, რომლებიც საგასტროლოდ თქვენს შესანიშნავ თბილისში ჩამოვედით, — თქვა მან, — გთხოვთ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით გადასცეთ ქართველ ხალხს, შესანიშნავ გულთბილ მაყურებელს, ჩვენი მეგობრული სურვილები. მოხარული ვართ თქვენთან ყოფნით. თქვენი ცირკი შენობა საუკეთესოა მთელ ევროპაში. ამიტომ ჩვენს წარმატებას, ვფიქრობ, ამანაც ხელი შეუწყო.

. . .

ცირკის სეზონი გაიხსნა. ჩვენთან საუბარში თბილისის სახელმწიფო ცირკის მთავარმა რეჟისორმა ი. ყანჩელმა განაცხადა:

— ყველა ის წარმოდგენა, რასაც ჩვენი მაყურებელი წელს ნახავს, ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. ამიტომ, თვითეული პროგრამა საგანგებოდ შერჩეული და გააზრებულია. სეზონის გახსნა წილად ხვდათ რუმინელ მეგობრებს, რომელთა ორიგინალური ატრაქციონის დადგმისათვის მოგვიხდა ძანეის ამოთხრა, რომ შიგ ჩაგვესხა 300 ათასი ლიტრი წყალი. მისი დონე 180 სანტიმეტრს უდგია. რუმინელებს შესაცვლის ალექსანდრე კორნილოვი თავისი სპილოებითა და მოცეკვავე ქალებით. წელს მაყურებელი კვლავ ნახავს ცნობილი ილუზიონისტის, რუსეთის ხელოვნების დამსახურებული არტისტის კიოს

გამოსვლას. დიდი დამოუკიდებელი პროგრამით გამოვა ჩვენი ქართული ცირკი, რომელიც ამჟამად წარმატებით გამოდის რუსეთის ქალაქებში. მათთვის ვამზადებთ ცხენოსნების ჯგუფს, აკრობატმოხტუნავეებს, რგოლებზე მოვარჯიშეებს, კლოუნადას და სხვ. გარდა ამისა, მიმდინარე სეზონში ჩვენი მაყურებელი ნახავს სხვა არანაკლებ საინტერესო დადგმებს, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ცირკის ცნობილი ოსტატები.

ო. არობელიძე.

* * *

სურათზე: თვითმფრინავზე ტანმოვარჯიშენი ჩეჩილია და კრატეული.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ალმოჩენილია მიწისქვეშა ოკეანე

ახლახან გეოლოგებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს: ყამირი მიწების ღრმა წიაღში აღმოაჩინეს მტკნარი (სასმელი) წყლის უზარმაზარი „ოკეანე“. მეცნიერებმა ჯერ კიდევ აღრე დაადგინეს, რომ დასავლეთ ციმბირის მსოფლიოში ყველაზე დიდი დაბლობი, რომლის ნაყოფიერ ტრამლებს ხშირად ახიანებს გვალვა და რომელიც ასე ღარიბია ზედაპირული წყაროებით, თურმე ასვენია თერმული ცხელი წყლების მთელ მიწისქვეშა „ოკეანეზე“. ეს ოკეანე წარმოადგენს მიწისქვეშა მდინარეებისა და ტბების ხშირ ქსელს, ისინი შეადგენენ უზარმაზარ წყალშემცველ ჰორიზონტს, რომლის სიღიდე სამი მილიონი კვადრატული კილომეტრია.

„ამჟამად გეოლოგებმა მიაღწიეს ამ პრაქტიკულად უშრეტ წყაროს. ერთი კილომეტრის სიღრმეზე გაბურღული ჭაბურღლებიდან მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში ამოხეთქა მტკნარი წყლის მძლავრმა შადრევნებმა!

უფრო მეტი პერსპექტივები აქვს ყამირის ოკეანის შემდგომ ძიებასა და ექსპლოატაციას. კილომეტრი სიღრმიდან ზეღაპირზე მიღებული წყლის ტემპერატურა ოცდათორმეტ გრადუსს არ აღემატება. გეოლოგები ვარაუდობენ თითქმის ორნახევარი კილომეტრის სიღრმეზე ჩაღწევას, რომ იპოვნონ ნამდვილი ოთხმოცკრადუსიანი მდუღარე წყალი და ბუნებას გაათბობინონ სახლები. მიწისქვეშა ოკეანე, როგორც ძიებამ აჩვენა, სამკურნალო წყალსაც მოგვცემს. ეს კი ნიშნავს, რომ ყამირ მიწებზე თავიანთი კურორტებიც ექნებათ.

„პრავდა“, 22 სექტემბერი.

საასპარეზოდ გუდაკეშტში

სექტემბრის ბოლო რიცხვებში უნგრეთში ტარდება დემოკრატიული ქვეყნების სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის სპორტსმენებიც.

ღღეს ბუდაპეშტში გაემგზავრნენ ჩვენი რესპუბლიკის სახელგანთქმული მძლეოსნები: მეჩიდმეტე ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძე, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ლამარა ტუღუში და მეჩვიდმეტე ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილე სპორტულ სიარულში ალექსანდრე შჩერბინი.

ოკეანეზე

ნასერი ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი. 24 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი გამალ აბდელ ნასერი ნიუ-იორკს ჩამოვიდა. იგი დღესწრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიას.

რაკეტის გამოცდა იაპონიაში

ტოკიო. 23 სექტემბერი. (საკდესი). იაპონიაში, მიკიტავას (აკიტას პრეფექტურა) პოლიგონზე განხორციელდა „კაპა-8“ ორსაფეხურიანი რაკეტის ახალი გამოცდა.

გაზეთ „ჯაპან ტაიმსის“ ცნობით „კაპა-8“ არის იაპონიაში დამზადებული უდიდესი რაკეტა. გამოცდის დროს რაკეტამ მიაღწია 200 კილომეტრ სიმაღლეს.

პრესაში იუწყებიან, რომ „კაპა-8“ რაკეტის მორიგი გაშვება განხორციელდა მეტეოროლოგიის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შესაბამისად.

სიფხიზლე და კეთილშობილება

ამ დღეებში სახალხო მატარებელი № 236 მზად იყო გასასვლელად სადგურ ტყიბულიდან საწირის მიმართულებით. ამ მომენტში სადგურში მოვარდა ტყიბულელი ავტომძღოლი ლევან პლატონის-ძე ფანჩულიძე, რომელმაც სადგურის მორიგეს აცნობა, ერთი კილომეტრის დაშორებით საწირის მიმართულებით რკინიგზის საკონტაქტო ხაზის ბოძი წაქცეულია და მატარებელს ნუ გაუშვებთო. მატარებელი შეიჩერეს. გამოძახებულ იქნენ საკონტაქტო ქსელის მუშაკები. მათ სასწრაფოდ შეცვალეს ბოძი, რომელიც ძლიერ ქარს წაექცია, და მიმოსვლა აღადგინეს.

ამრიგად, ლ. ფანჩულიძის სიფხიზლის შედეგად თავიდან აცილებულ იქნა მატარებლის მარცხი.

დ. ჯუმბურიძე.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05. პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, სალუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.

25 სექტემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ამერიკული ბალეტის თეატრის გასტროლები— პირველი პროგრამა (დასაწყ. დღის 1 ს.), მეორე პროგრამა (საღ. 8 ს.), **რუსთაველის სახელობის** „ფილოსოფიის დოქტორი“ (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კოლხეთის ცისკარი (დღისით), ჩარლის დეიდა (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — ორი ფერი (დღისით), გაზაფხულის ვიოლინოები (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ციცია (აბ. № 40, 12 ს., აბ. № 4, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ტყის საათი (12 ს.), მზეკაბეკი (3 ს.).

ტელევიზია: დღისით გადაცემა. მოსწავლეთათვის 12.00 — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად, 12.15 — გადაცემა „ჩვენ მეგობრებთან ვისვენებდით“, 12.30 — ახალი მხატვრული ფილმი — „ცეროდენა“, 14.00 — ინგლისური ენის გაკვეთილი, საღამის — 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.20 — კონცერტი ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა მონაწილეობით, 19.45 — გადაცემა „მხატვარი იკონის“, 19.50 — კინოეტრნალი, 20.00 — კინოვიქტორინა, 20.40 — მხატვრული ფილმი „ჩრდილი და სინათლე“.

УЭ 01353 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.